ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 2009 №310 (5051) ფასი: 30 თეთრი

## თარგამაძე კინაღამ გაააკავეს

რატომ მო რაობენ ეგლები „უპრაგონოდ“?

გვ.3



# „ჩემი სიცოცხლის გადარჩენისთვის დოკვაძეს მადლობას ვუხდი!“

დოკვა ის პროცესზე კვირქიშვილის ყოფილი რ ალი დაკითხეს

გვ.5



## ირაკლი ალასანია შეიძლება რადიკალური ოპოზიცია გახდეს

39-პროცენტიან ბარიერს არასდროს დავთანხმდებით!



გვ.2

## შაშიაშვილმა ნოღაიდელს ძასოხოვი „აახია“

გვ.6





## სააკაშვილს თავისივე ხალხი გააგდებს

ხელისუფლებას გადარჩენა თუ უნდა, 390-იანი ბარიერი უნდა დაივიწყოს

გვ.4

## ცოტნე გამსახურდიამ ბარაკ ობამას წერილი გაუგზავნა



გვ.4

მანანა არჩვა ემ პროკურატურაში შიმშილობა დაიწყო

# გაეროს არჩევნები არ უნდა ჩავატარებინოთ

გვ.7

## სააკაშვილმა სასამართლო დაიმონა

გვ.5





## საქართველოს სცენარი თავიდან უნდა ავიცილოთ

გვ.2

## დღეს მელორ ვაჩნაძის სასამართლო პროცესი გაიმართება

გვ.2





გვ.6

## ხელისუფლება ანგარიშს მისწორებს!

2 საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კონკურსში მონაწილეთა ვინაობა ცნობილია

7 დუდაევი ელცინს გარიგებას სთავაზობდა

2 ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ქარსელაძე უხელმძღვანელებს

8 ნიკოლოზ ბარათაშვილის პრემიით ახალგაზრდა პოეტებს დააჯილდოებენ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კონკურსში მონაწილეთა ვინაობა ცნობილია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილეთა სია გამოაქვეყნა.

კონკურსში მონაწილეობას, სულ 24 ადამიანი მიიღებს. კანდიდატები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან, თუმცა მათ შორისაა ცნობილი ჟურნალისტები: საქართველოს ჟურნალისტთა კავშირ „სხივის“ პრეზიდენტი თამაზ ბიბილური, გაზეთ „ვერსიის“ ჟურნალისტი მაია მიშელაძე, ჟურნალ „ლიბერალის“ მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი, ასევე ჟურნალისტები: ჯონი კალანდაძე და მზია გოგნიაშვილი.

ამასთან, კონკურსის მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა და თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო არასრული შემადგენლობითაა დაკომპლექტებული და ის 8 წევრისგან შედგება. მიმდინარე წლის სექტემბერში პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად, საბჭოს წევრთა რაოდენობა 9-დან 15-მდე გაიზარდა. პრეზიდენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის შვიდ ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსი 16 ოქტომბერს გამოაცხადა.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით, პრეზიდენტი სამეურვეო საბჭოს წევრობის თითო ვაკანტურ თანამდებობაზე 3 პრეტენდენტს ირჩევს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს. პარლამენტი შეთავაზებული კანდიდატურებიდან ფარული კენჭისყრით საბჭოს წევრებს ამტკიცებს.

**მედიანიუსი**

## საქართველოს სცენარი თავიდან უნდა ავიცილოთ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, ეუთოს ფარგლებში უსაფ-



რთხოების უზრუნველსაყოფად, ძალზე მნიშვნელოვანია კონფლიქტების თავიდან აცილება.

როგორც ლავროვმა ეუთოს 17-ე საგარეო მინისტერიალზე განაცხადა, ეუთომ კრიზისული დარეგულირების ერთიანი პრინციპი უნდა შეიმუშაოს.

— მხოლოდ ასეთი პრინციპები აგვაშორებს თავიდან იმ ძალისმიერ სცენარს, რომელიც საქართველოში განვითარდა, — აცხადებს ლავროვი.

მისი თქმით, ეუთოს ფარგლებში უსაფრთხოების უზრინველსაყოფად უფრო აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს ტერორიზმთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლა.

**მედიანიუსი**

# ირაკლი ალასანია შეიძლება რადიკალური ოპოზიცია გახდეს

### 39-პროცენტიან ბარიერს არასდროს დავთანხმდებით!

**ნათია ხურცილავა**

**ირაკლი ალასანია მერის არჩევნებში მიიღებს თუ არა მონაწილეობას, ეს დამოკიდებულია იმ კონსულტაციებზე, რომელსაც ის საზოგადოების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან მართავს. ალასანიას არჩევნებში მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ მას შემდეგ დადგა, რაც ხელისუფლებამ უარი თქვა 59-პროცენტიან საარჩევნო ბარიერზე, რასაც „ალიანსი საქართველოსთვის“ ითხოვდა. ხელისუფლების პოზიცია, ენდიაის ფორმატში არსებულ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, ისევ უცვლელია. პარტიების მიერ 39-პროცენტიანი ბარიერი უკვე ხელმოწერილია და აღნიშნული ცვლილებით საარჩევნო კოდექსი პარლამენტშიც შესულია კენჭისყრისთვის.**

თუმცა, როგორც ჩანს, ალასანია ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ მთავარ მოთხოვნას საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით, ისევ აქტიურად დააყენებს, ასეთი რჩევა მიიღო მან ექსპერტებისგან.

გუშინ ალასანია თავის ოფისში შეხვდა დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბს. სწორედ მათგან მიიღო რჩევები ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობაზე ალასანიამ.

შეხვედრიდან გამოსულმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ეს ალასანიაზეა დამოკიდებულიო.

— ჩვენ მოვისმინეთ ხედვა იმ პრობლემების შესახებ, რაც არსებობს არჩევნებთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავენ პრესპექტივას, ამ პრობლემების მოგვარების შესაძლებლობებს. ალბათ, ასეთი შეხვედრები კიდევ გვექნება. ძალიან მრავალი საკითხი არის გადასაჭრელი კანონთან დაკავშირებით, რეალურ სიტუაციასთან, სხვა პარტიების ურთიერთობებთან დაკავშირებით. არჩევნებში მიიღებს თუ არა მონაწილეობას ალასანია, ეს პარტიის გადასაწყვეტია. ჩვენ შეგვიძლია, რომ მოვისმინოთ მათი პოზიცია და მერე რაღაც რჩევები მივცეთ. გადაწყვეტილებას არჩევნებთან დაკავშირებით თავად მიიღებს ალიანსი, — განაცხადა პოლიტოლოგმა ზურაბ აბაშიძემ.

**სოსო ცისკარიშვილი პოლიტოლოგი:**

— ბატონ ირაკლის ვურჩიეთ, რომ მხნეობა არ დაკარგოს. ჩვენი ხედვა შევთავაზეთ, თუ როგორ უნდა წარმართონ საზოგადოებასთან ურთიერთობა. მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ამ საკითხის გადასაწყვეტად არ ვიყავით, რადგან გადარწმუნება რომელიმე პოლიტიკური ძალის ლიდერის თავის არჩევან-



ში, არა მგონია, რომ ეს პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი სექტორის უნდა იყოს.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ღიად აცხადებს, რომ მათ ალასანიას არჩევნებში მონაწილეობის მიღება ურჩიეს, რადგან ის უკვე ჩაერთო საარჩევნო პროცესში, თუმცა, წინასაარჩევნო გარემოს შეცვლის წინაპირობით.

**რამაზ საყვარელიძე:**

— ვუთხარით, რომ არჩევნების გზიდან გადახვევა დაუშვებელია. რადგან პოლიტიკური პარტია დაადგა ამ გზას, მისი მიტოვება უკვე მისთვის რეიტინგის დაკარგვის ტოლფასია. შესაბამისად, აღებული ტვირთი ბოლომდე უნდა ზიდონ და მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა ყველა სირთულის მიუხედავად. საუბარი შეეხო, თუ როგორ შეიძლება დაიძლიოს ესა თუ ის სირთულე. რა თქმა უნდა, ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, რომ საარჩევნო გარემოში ცვლილებები მოხდეს, მაგრამ ამ პირობებითაც მათ უნდა მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობა, როგორც დანარჩენი პოლიტიკური პარტიების კონსოლიდაციის მხრივ, ასევე თუ რა მდგომარეობა იქნება არჩევნების პროცესში. საარჩევნო კოდექსზე ალიანსმა თავისი უკმაყოფილების დაფიქსირება უნდა გააგრძელოს. არ უნდა ჩაითვალოს, რომ ყველა შეეგუა ამ ვერსიას ბარიერთან დაკავშირებით. რაც შეეხება სხვა სირთულეებს, უნდა მოხდეს კარგი მონიტორინგი. უნდა დაფიქსირდეს დარღვევის ყველა შემთხვევა. პრევენცია უნდა მოხდეს ისეთ მანიპულაციებზე, რომელიც არჩევნების დღეს არ ჩანს ხოლმე. რამდენიმე ასეთ მექანიზმზეც იყო საუბარი.

***— თუ იყო საუბარი ოპოზიციის მიერ შერჩეულ ერთ კანდიდატზე?***

— რაც შეეხება გაიშლება თუ არა ოპოზიციური სპექტრი, ეს მომავლის საქმეა, მაგრამ პოლიტიკური სპექტრი მოახერხებს თუ არა ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რაც მათზეა დამოკიდებული. ისე ყველამ იცის, რომ ერთი ამ შემთხვევაში ბევრზე მეტია, ანუ ძალიან მნიშვნელოვანია.

***— პრაიმერზე თუ იყო საუბარი?***

— გაკვრით იყო საუბარი. აღინიშნა ის, რომ პრაიმერი, სხვა თუ არაფერი, კარგი არის მოსახლეობის წინასწარი აქტიურობისთვის. უცხოეთშიც ხშირად იყენებენ პრაიმერს სწორედ ამ მიზნითაც. პრაიმერში ადამიანი ხმას რომ მისცემს, არჩევნებშიც იღებს მონაწილეობას.

**ირაკლი ალასანია, „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი:**

— საუბარი საარჩევნო სისტემას შეეხო. ზოგადად ქვეყანში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრძოლა აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ, ამას ითხოვენ ისინი. ბრძოლა ასევე უნდა გავაგრძელოთ საარჩევნო გარემოს თვისობრივ შეცვლაზე. ძალიან პრინციპული პოზიციის დაკავება მოგვთხოვეს 50 პროცენტიან საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით. ასევე შეხვედრაზე განხილული იყო მედიის და პოლიციის დეპოლიტიზაციის საკითხი. ძალიან ხანგრძლივად ვისაუბრეთ ახალ, დახვეწილ ტექნოლოგიებზე, რომლის გამოყენებასაც აპირებს „ნაციონალური მოძრაობა“ და ხელისუფლება არჩევნების შედეგების შეცვლისთვის. საუბარი იყო ასევე იმაზე, რომ ახალი მეთოდია რეგიონებიდან ხალხის თბილისში ჩაწერაზე და არჩევნებში მათ მონაწილეობაზე. ასევე ზეწოლა ხდება სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებზე, რომ მათ ერთგულება დაუდასტურონ „ნაციონალურ მოძრაობას“. შევთანხმდით, რომ ეს ფაქტები გამოვლინდეს და დოკუმენტირებული იყოს. დიდი იმედი გვაქვს, რომ მედია ამ კუთხით ობიექტურობას დაიცავს. პოლიტიკურ ძალას სჭირდება იცოდეს, თუ რას ფიქრობს საზოგადოება. საზოგადოებასთან ურთიერთობა ბევრად უფრო ფართო და გაშლილი უნდა იყოს.

***— 30 პროცენტიან საარჩევნო ბარიერს დათანხმდებით?***

— ეს არის უსამართლო საარჩევნო ბარიერი. ამის შეცვლისთვის ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებთ. ჯერ არ არის ყველაფერი გადაწყვეტილი. საკანონმდებლო პროცესი ჯერ არ არის დასრულებული. დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება თავის სიტყვას იტყვის. თბილისელები იტყვიან თავიანთ სიტყვას, თუ როგორი ლეგიტიმურობის მერი სჭირდება თბილისს.

***— თქვენს კონკურენტად ვის აღიქვამთ?***

— ჯერ არჩევნები ფორმალიზებული არ არის. ვინც შემდეგ დარეგისტრირდება კანდიდატად, მასთან დაკავშირებით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას. ყველა პოლიტიკურ ძალას აქვს სრული უფლება, რომ თავისი კანდიდატი წარმოაჩინოს.

## პერევიდან გატაცებული ქართველი გათავისუფლებულია

საჩხერის რაიონის სოფელ პერევიდან რუსი ოკუპანტების მიერ გატაცებული რამაზ მაკასარაშვილი გაათავისუფლეს. ის რუსმა ოკუპანტებმა სოფელ პერევში 29 ნოემბერს დააკავეს და რუსი მესაზღვრეების დაუმორჩილებლობაში ადანაშაულებდნენ.

**პრაიმ-ნიუსი**

## ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ქარსელაძე უხელმძღვანელებს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დავით ქარსელაძე უხელმძღვანელებს. დავით ქარსელაძე შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მანამდე კი, წლების განმავლობაში სამართალდამცავ სტრუქტურებში საქმიანობდა. იგი პროფესიით იურისტია.

საგამოძიებო სამსახური, რომელიც დღეიდან ამოქმედდა, უშუალოდ ფინანსთა მინისტრს დაექვემდებარება. უწყება, რომელიც უნივერსტიტის ქუჩაზე განთავსდა, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ბაზაზე გააგრძელებს მუშაობას.სამსახურის მიზანი მომხმარებლებისა და გადამხდელების ინტერესების დაცვა იქნება. საგამოძიებო სამსახურს 610 თანამშრომელი ჰყავს.

**ინტერპრესნიუსი**

## დღეს მელორ ვაჩნაძის სასამართლო პროცესი გაიმართება

დღეს მოძრაობა „შემოგვიერთდის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მელორ ვაჩნაძის სასამართლო პროცესი გაიმართება. როგორც „პირველს“ მოძ-



რაობის თავმჯდომარემ თიკო ნობლოშვილმა განუცხადა, პროცესის უსამართლოდ ჩატარების შემთხვევაში მოძრაობის წევრები ვაჩნაძის მხარდასაჭერ აქციებს დაიწყებენ.

— მელორი პარლამენტის შენობასთან მჯდომარე აქციების დროს დააკავეს. თუ სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, ჩვენ მის მხარდასაჭერ აქციებს დავიწყებთ, — განუცხადა „პირველს“ ნიბლოშვილმა. შეგახსენებთ, რომ მოძრაობა „შემოგვიერთდის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მელორ ვაჩნაძე მიმდინარე წლის ივლისში, პარლამენტის შენობასთან მჯდომარე აქციების მიმდინარეობისას დააპატიმრეს. მას თაღლითობის მუხლით წაუყენეს ბრალი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში თავისუფლების 16 წლამდე ალკვეთა ემუქრება.

**პირველი**

## ბულგარეთის ელჩი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შეხვდა

1 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია შეხვდა საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბრანიმირ რადევს. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული პრიორიტეტები და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობები ისეთ საკითხებში, როგორიცაა გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის პერსპექტივა, საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება და სხვა.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივის ფარგლებში მიმდინარე საქართველოსა და ევროკავშირის შორის, ასევე ინიციატივის მონაწილე ქვეყნებთან თანამშრომლობას.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ნანა მიშელაშვილი

# თარგამაძე კინაღამ გააკავეს

**უმრავლესობა და ოპოზიცია გუშინ ერთმანეთს დაერია. უმრავლესობის წევრებმა უმცირესობის ლიდერს გიორგი თარგამაძეს წარსული გაუხსენეს. ასლან აბაშიძის სახელი და გვარი დარბაზში არავის უხსენებია, სამაგიეროდ, უმრავლესობის წევრების მხრიდან ნახსენები იყო ერთ-ერთი ფეოდალი, რომლის მიმართაც გიორგი თარგამაძეს პრეტენზიები არასდროს ჰქონია.**

ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც გიორგი თარაგმაძემ გააპროტესტა 23 ნოემბერს კორძაიას, ცაგურიასა და ჯიშკარიანისთვის სასამართლოს მიერ 500-ლარიანი ჯარიმის გამოტანა. ამის შემდეგ თარგამაძემ განცხადება ბათუმში ძეგლების „უპრაგონო“ მოძრაობის გამო გააკეთა და კრიტიკაც არ დაიშურა.

გიორგი თარაგმაძის თქმით, სამ ახალგაზრდას კანონი არ დაურღვევია, მაგრამ მოსამართლეებმა არც კი მოინდომეს ადვოკატების მიერ წარდგენილი ვიდეომასალის ნახვა, ისე გამოიტანეს გადაწყვეტილება.

— ჩვენ ამას კატეგორიულად ვაპროტესტებთ, ეს არის სიტყვისა და გამოხატვის კონსტიტუციური უფლებების უხეში დარღვევა, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ და იმ მოსამართლეების მიმართ დისციპლინარული დევნის დაწყების მოთხოვნით გამოვიდა, რომლებმაც სამი ახალგაზრდა 500 ლარით დააჯარიმეს.

თარგამაძეს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ მელიქიშვილმა უპასუხა. მისი განცხადებით, არ შეიძლება პოლიტიკოსები დროისა და ჟამის შესაბამისად აკეთებდნენ განცხადებას.

— არ შეიძლება, 8 წელი ერთ-ერთ ფეოდალს შინაპატიმრობაში ჰყოლოდა ადამიანი და ამაზე არ გაგეკეთებინა განცხადება და 500-ლარიან ჯარიმასთან დაკავშირებით აკეთებდე ისეთ განცხადებებს, რომელზეც დამოკიდებულს ხდი მთლიანად სასამართლოს არსებობასა და პრესტიჟს, — განაცხადა ზურაბ მელიქიშვილმა.

სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხი ერთადერთი არ ყოფილა, რაც „ქრისტიან-დემოკრატებმა“ გააპროტესტეს. გიორგი თარგამაძემ ბათუმში ძეგლების გადაადგილების გამოც გამოხატა აღშფოთება.

თარგამაძის თქმით, გუშინ ბათუმის ცენტრიდან ილია ჭავჭავაძის ძეგლი გააქრეს. მისივე განცხადებით, შესაძლოა ილია ჭავჭავაძის ძეგლი კიდევ უფრო უკეთეს ადგილას დაიდგას, თუმცა ძველი გამოცდილება სრულიად საწინააღმდეგოს მოწმობს, როდესაც მემედ აბაშიძის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან აიღეს და ქუჩის კუთხეში, სამარცხვინო ადგილას მოაქციეს.

— ეს სამარცხვინო, დანაშაულებრივი ქმედება დღემდე არ არის გამოსწორებული. მე მაქვს ძალიან დიდი შიში, რომ ფარულად ცენტრიდან გამქრალი ეს ძეგლიც კვლავ ასეთ ადგილას აღმოჩნდება. რა საჩქარო იყო ან ვინ მოგვდევდა, ვინ გვაიძულებდა ასე სწრაფად ამ გადაწყვეტილების მიღებას? — იკითხა თარგამაძემ.

მანვე მოითხოვა, რომ ბათუმის მერიამ სასწრაფოდ წარადგინოს კონკრეტული გეგმა, როდის დაიდგმება ილია ჭავჭავაძის ძეგლი იმ ადგილას, სადაც სიტყვიერად შეჰპირდნენ მოსახლეობას. ამ საკითხს უმრავლესობის წევრი კობა ხაბაზი გამოეხმაურა. სწორედ ხაბაზის განცხადებას მოჰყვა დარბაზში ხმაური.

— მემედ აბაშიძის ძეგლი, ყველას ახსოვს, რომ იდგა ბულვარში და ბულვარიდან გადატანილ იქნა მემედ აბაშიძის სახელობის ქუჩაზე. როდესაც მემედ აბაშიძის ძეგლი დაიდგა ბათუმში ბულვარში, სრულიად შეუფერებელ ადგილას, მაშინ ბატონი გიორგი იქ ბრძანდებოდა და რაღაც ვერ ვიხსენებ მის მგზნებარე გამოსვლებს, მემედ აბაშიძის ძეგლი ბულვარში არ უნდა ყოფილიყოო, იმიტომ რომ ბატონის, პატრონისადმი უსიტყვო მორჩილებით გამოირჩეოდა იმ პერიოდში, — აღნიშნა კობა ხაბაზმა გიორგი თარგამაძის მისამართით.

## რატომ მო რაობენ  ეგლები „უპრაგონოდ“?

გუშინ პირველი შემთხვევა იყო, როდესაც გიორგი თარგამაძე იმდენად გაბრაზდა, რომ ადგილიდან ხმამაღლა უყვიროდა კობა ხაბაზს. ერთდროულად „ქრისტიან-დემოკრატების“ იმდენი წევრი ხმაურობდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ მანდატურს მოუწოდა, დეპუტატები დაეწყნარებინა.

რამდენიმეწუთიანი სიჩუმე მაშინ დაირღვა, როცა სიტყვით უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი გამოვიდა. „ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე უმრავლესობის ლიდერს ხელს უშლიდა, რადგან ადგილიდან რეპლიკებს ისროდა.

— ერთი წამით, ბატონო ლევან, დაწყნარდით, ყველაფერს განვმარტავ, დამშვიდდით, თქვენ რომ გამოდიოდით, ხელს ხომ არ გიშლიდით? რა არის ეს? რატომ დაეჩვიეთ ადგილიდან წამოძახებებს? — მიმართა პეტრე ცისკარიშვილმა ლევან ვეფხვაძეს.

ამის შემდეგ პეტრე ცისკარიშვილმა ოპოზიციას აუხსნა, თუ რის გამო დააკისრა სასამართლომ სამ ახალგაზრდას ჯარიმა. უმრავლესობის ლიდერის თქმით, დეპუტატების გადასაწყვეტი არ არის, რა რაოდენობის ჯარიმა იქნებოდა დაკისრებული და ყველაფერი სასამართლო სისტემას უნდა მიანდონ. ცისკარიშვილმა დეპუტატებს მოუწოდა, რომ პარლამენტის ტრიბუნა უხეშად არ გამოიყენონ.

## ხელისუფლება მკვლელებს ხელს აფარებს

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ გუშინ გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაც მოითხოვეს. პარლამენტში დროებითი კომისიის შექმნა საკმაოდ პრობლემატურია, მით უმეტეს, თუ საქმე შეეხება მკვლელობის გამოძიებას.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით პარლამენტის წევრებს დაახლოებით 2 თვის წინ ჯიშკარიანმა, ცაგურიამ და კორძაიამ მიმართეს. მათ მოითხოვეს, შესწავლილ იქნეს ზურაბ ვაზაგაშვილის, ალექსანდრე ხუბულოვის, ამირან რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, გიორგი გამცემლიძის, როინ შავაძის, ევგენი და ომეხ აფრასიძეებისა და სხვათა გახმაურებული საქმეები.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ჯერ ბიუროს სხდომაზე დააყენეს, გუშინ კი — პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

„ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმა დეპუტატებს ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით ფოტომასალები წარუდგინა, რომელიც ახალ გარემოებებს წარმოადგენს და ამ ფოტოების დეპუტატებისთვის დარიგება მოითხოვა.

— საკმარისზე მეტი არგუმენტაცია და მტკიცებულება არსებობს იმისათვის, რომ პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ყველაფერ ამას თავისი სახელი დაერქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეშვიდე მოწვევის პარლამენტში სერიოზულად იქნება დისკრედიტებული, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

ოპოზიციური ფრაქციის ხელმძღვანელმა სანდრო გირგვლიანის პროცესი გაიხსენა, როდესაც პროკურორმა განსასჯელს მობილური ტელეფონი გადააწოდა.

— გაჩნდა ეჭვები, რომ ხდება დამკვეთების დაფარვა, იმ ადამიანებისთვის ხელის დაფარება, რომლებიც დამნაშავენი არიან მკვლელობაში, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

მისივე თქმით, არც ერთი გამოძიება არ ჩატარებულა იმ მიმართულებით, რა მოთხოვნაც საზოგადოებაშია, ანუ სამართლიანობისა და სიმართლის ბოლომდე გამოაშკარავებით.

გიორგი ახვლედიანმა ისიც თქვა, რომ როდესაც პარლამენტში კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი იხილებოდა, პარლამენტთან იმყოფებოდნენ გარდაცვლილი ახალგაზრდების მშობლები და ითხოვდნენ პარლამენტის შენობაში შესვლას.



დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნას მხარი დაუჭირა „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ. მისი თქმით, პარლამენტს შეუძლია შექმნას კომისია, რომელიც გამოიძიებს, სინამდვილეში რა მოხდა.

— პრინციპულად წინააღმდეგი ვარ ამ თემებით სპეკულაციებისა, თუმცა, მინდა ვთქვა, რომ თითეული შემთხვევა არის თითოეული ოჯახის ტრაგედია და მთლიანად მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის ტრაგედია, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ოპოზიციის კრიტიკას უმრავლესობამ კონტრშეტევით უპასუხა. უმრავლესობის წევრები გუშინ ერთმანეთის მიყოლებით ამბობდნენ, რომ სხვისი ტრაგედიით სპეკულირება არ შეიძლება.

ოპოზიცია და უმრავლესობა გუშინ ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებით კრიტიკული იყვნენ. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი ხმაურის გარეშე რომ არ ჩაივლიდა, მაშინვე გახდა ნათელი, როგორც კი ახვლედიანმა პარლამენტის ტრიბუნიდან გამოსვლა დაასრულა.

პარლამენტის დარბაზში შეფასებები ორივე მხარის მიერ უხვად გაკეთდა. უმრავლესობის წევრ აკაკი მინაშვილის განცხადებით, ოპოზიცია გახმაურებულ მკვლელობებზე კომისიის შექმნის მოთხოვნით სხვის ტრაგედიას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს.

მინაშვილის თქმით, თუ „ქრისტიან-დემოკრატებს“ მართლაც სურვილი აქვთ რაიმეს გამოძიებისა, მაშინ ისინი ჯერ კიდევ აჭარაში არსებულ დარღვევებზე იმუშავებდნენ.

ოპოზიციის მიმართ შეკითხვები უმრავლესობის წევრ პავლე კუბლაშვილსაც ჰქონდა. კუბლაშვილის აინტერესებს, რომელ ქვეყანაში ხდება, რომ მკვლელობის დეტალებზე დებატებში პოლიტიკოსები ერთვებოდნენ.

კუბლაშვილის თქმით, ძალიან მტკივნეულია, როდესაც ერთი ოჯახის ტრაგედია პოლიტიკური დებატების საგანი ხდება.

— პარლამენტი არ არის ის ადგილი, სადაც პოლიტიკური კარიერა უნდა კეთდებოდეს რომელიმე მკვლელობის გამო. სხვის უბედურებაზე პოლიტიკური ქულების დაწერის საშუალებას არც თქვენ მოგცემთ და არც თქვენ უნდა მოგვცეთ, — განაცხადა კუბლაშვილმა. მისივე აზრით, გარდა პოლიტიკური სპეკულაციებისა, არაფერი იყო ოპოზიციის გამოსვლებში.

უმრავლეობის წევრებს ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ შეახსენა, რომ ვერც ერთი გახმაურებული მკვლელობის საქმე პოლიტიკური სპეკულაციის საგანი ვერ გახდება, სანამ თავად დაღუპულთა ოჯახის წევრებს სამართლიანობის აღდგენის განცდა არ გაუჩნდებათ.

— თქვენ აპელირებთ იმაზე, თუ სად არის ქვეყანა, სადაც ასეთი ფაქტების გამოძიება პარლამენტის წევრების მიერ ხდება. მე კი მაინტერესებს, სად არის ქვეყანა, სადაც პროკურორი სასამართლო პროცესზე ტელეკამერების წინ განსასჯელს მობილურს აწვდის? ან სად არის ისეთი ქვეყანა, სადაც სამართალდამცავთა მხრიდან დანაშაულის ჩადენა ხდება და შემდგომში ამ დანაშაულის გადაფარვის მიზნით უფრო სერიოზული დანაშაული ხორციელდება, როცა მანქანაში იარაღს, ყუმბარებს უდებენ და ამისთვის არავინ ისჯება, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი დარწმუნებულია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სიტყვა „გამოძიების“ ეშინია და მათი ინიციატივის გაზიარებაც სწორედ ამ მიზეზით არ ხდება.

უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გუშინ უმრავლესობას ის ადამიანებიც შეახსენა, რომლებიც წარსულში მასთან ერთად იდგნენ, ახლა კი მმართველი პარტიის გვერდით არიან. „გვერდით გისხედან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩემთან ერთად იმ პოლიტიკურ ძალას იმ დროს ძალიან ამაყად წარმოადგენდნენ“, — აღნიშნა გაბრაზებულმა თარგამაძემ.

ამის შემდეგ უმცირესობის ლიდერმა კომისიის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა. თარგამაძემ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ვაზაგაშვილის, რობაქიძისა და სხვათა პიროვნული ტრაგედიები გადაიზარდა სახელმწიფო ტრაგედიაში იმის გამო, რომ „მათ მკვლელობაში ჩართული იყვნენ სახელმწიფო და ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს განასახიერებენ“.

გიორგი თარგამაძის თქმით, იყო დრო, როდესაც ამ ქვეყანას მართავდნენ ქურდები, იყო დრო, როდესაც ამ უმრავლესობის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან კარგად გრძნობდა თავს იმ ხელისუფლებაში, რომელსაც ქურდებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა.

— მე მესმის, რომ შესაძლოა პეტრე პავლედ იქცეს, ასეთი რაღაცები ჩვენს ცხოვრებაში მომხდარა, მაგრამ ეს პავლე ისევ პეტრედ აღარ უნდა გადაიქცეს. ამის მაგალითია ის, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ქურდი არ გვინდა, ცუდია, ახლა ჩვენ ვართ ქურდები, კანონი ჩვენია, სასამართლო ჩვენია და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერმა სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე და მისთვის მიცემული პირობაც გაიხსენა.

— ქალბატონ ირინას სიცოცხლეში ვუთხარი, რომ სიმართლე თავის პურს ჭამს, მაგრამ ჯერ კიდევ პური არ უჭამია. სამართალი ურმით მიდის და თავის მისაღწევს მაინც მიაღწევს, როცა იქნება, — აღნიშნა თარგამაძემ და იქვე დაამატა, რომ გარდაცვლილი ახალგაზრდების მშობლები სხვისი შვილების სიცოცხლისთვის იბრძვიან, რათა საქართველოში არავინ გადაამეტოს ძალას და ვინმე არ გასწიროს.

ოპოზიციას უმრავლესობის ლიდერმა უპასუხა. პეტრე ცისკარიშვილის თქმით, სიმართლის გამოაშკარავებას საპარლამენტო კომისიები კი არა, სწორი სამართალდამცავი ორგანოები და მართლმსაჯულება სჭირდება.

პეტრე ცისკარიშვილი აფრასიძეებთან დაკავშირებით დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა. დიმიტრი ლორთქიფანიძემ სხდომაზე დეტალურად ისაუბრა აფრასიძეების ოჯახთან დაკავშირებით მომხდარ ფაქტზე.

პეტრე ცისკარიშვილის თქმით, ლორქიფანიძე, როგორც ჩანს, ამ ოჯახის დიდი ქომაგი და გულშემატკივარია, მაგრამ იმ ადამიანებსაც ჰკითხეთ, რომლებიც აფრასიძეების მიერ არიან დაზარალებული.

პარლამენტში დაძაბული განხილვის ფონზე სიტუაციის განმუხტვა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მოახერხა.

გიორგი ახვლედიანის გამოსვლამ უმრავლესობის წევრი ელდარ კვერნაძე იმდენად გააღიზიანა, რომ კვერნაძე ფეხზე წამოდგა და ახვლედიანის გაჩუმება მოითხოვა.

ორჯერ წამოდგომის შემდეგ კვერნაძე უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა დაამშვიდა.

ახვლედიანის გამოსვლის შემდეგ უმრავლესობის წევრმა ზურაბ მელიქიშვილმა სიტუაცია განმუხტა და ჩაილაპარაკა: „ეთერში იყო გადაცემა „დროება“.

ზურაბ მელიქიშვილის ხუმრობა „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერსა და ფრაქციის წევრ ლევან ვეფხვაძეს მოეწონათ და ეს განწყობა ტაშით გამოხატეს.

კიდევ ერთი: გუშინ პარლამენტში არ შეუშვეს ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი. იმ დროს, როდესაც პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი განიხილებოდა, პარლამენტთან მივიდა ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი. დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ კი საშვი დაუშვა მოკლული ახალგაზრდების მშობლებზე. ლორთქიფანიძემ განცხადება პარლამენტის მიკროფონიდან გააკეთა და პროტესტი იმის გამო გამოთქვა, რომ მის მიერ დაშვებული საშვები ანულირებულ იქნა.

პარლამენტის თავმჯდომარე საშვებთან დაკავშირებული საკითხის გარკვევას დიმიტრი ლორთქიფანიძეს მაშინვე დაჰპირდა. ბაქრაძემ ისიც განაცხადა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც დეპუტატებს წყალს ასხამდნენ და კვერცხებს ესროდნენ, პარლამენტის სესიაზე დასწრების საშუალება არ უნდა მიეცეთ.

— მათ მიმართ ყველა ჩვენგანს, მიუხედავად პოზიცია-ოპოზიციისა, განსხვავებული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. ეს არის ღირსების საკითხი. ადამიანს, რომელიც ჩვენს კოლეგას ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს, აგინებს, არ უნდა მივცეთ საშუალება, პარლამენტის სხდომებს შეუზღუდავად დაესწროს, — აღნიშნა ბაქრაძემ.

მას შემდეგ, რაც საკითხში პარლამენტის თავმჯდომარე გაერკვა, მან დიმიტრი ლორთქიფანიძეს აცნობა, რომ დეპუტატის მიერ დაშვებულ სიაში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთა მიმართ პარლამენტის უსაფრთხოების სამსახურს განსხვავებული დაშვების მიდგომა აქვს, რადგან ისინი მონაწილეობდნენ პარლამენტის შენობის დაზიანებაში.

რაც შეეხება გარდაცვლილი ახალგაზრდების მშობლებს, დავით ბაქრაძის თქმით, მათ დეპუტატის კაბინეტში შესვლის პრობლემა არ აქვთ.

პარლამენტში გუშინ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი ჩავარდა. კომისიის შექმნის მომხრე მხოლოდ 18 დეპუტატი აღმოჩნდა.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ
„იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ
ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# ცოტნე გამსახურდიამ ბარაკ ობამას წერილი გაუგზავნა

## მანანა არჩვაძემ პროკურატურაში შიმშილობა დაიწყო

გულიკო ბალა ე

**გუშინ საქართველოს მთავარი პროკურატურის მისაღებში შიმშილობა დაიწყო მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რომელიც შეშფოთებულია ვაჟიშვილის, ცოტნე გამსახურდიას უმძიმესი ფიზიკური მდგომარეობით.**

ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა უაღრესად დამძიმდა 35-დღიანი შიმშილობის (მათ შორის, 10 დღე მშრალ შიმშილობაზე იყო) შემდეგ. ამიტომ იგი გლდანის ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თუმცა, მანანა არჩვაძე-გამსახურდია ამბობს, რომ ეს საავადმყოფო არის როგორც საპყრობილე საპყრობილეში, საakaშვილ-მერაბიშვილის ქვემდებარეა და მათ ხელ-ფეხი გაეხსნებათ ცოტნე გამსახურდიას მიმართ ადვილად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ფიზიკური ლიკვიდაციის პროცედურის ჩატარებისათვის. ამიტომ ის მოითხოვს, ცოტნე გამსახურდია გადაიყვანონ რესპუბლიკურ საავადმყოფოში და მას, როგორც დედასა და ექიმს, შვილის მეთვალყურეობის უფლება მისცენ.

საქართველოს მთავარ პროკურატურასთან შიმშილობის დაწყებამდე მანანა არჩვაძე-გამსახურდია შეეცადა, ხელმძღვანელ პირთაგან ვინმეს მაინც დაკავშირებოდა, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნა, გამწარებულ დედას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლეს, რომელსაც შვილი უკვდება, ყველამ კარი მიუხურა.

ამიტომ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მოთხოვნითა და პროტესტის ნიშნად შიმშილობა დაიწყო.

ცოტნე გამსახურდიას ბრალად სდებენ დავით ბაჯელიძის განზრახ სიცოცხლის მოსპობის მცდელობას, რასაც იგი კატეგორიულად უარყოფს.

ცოტნე გამსახურდიამ ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების, ყველა კეთილი ნებისა და ლიბერალური ღირებულებების მქონე ადამიანებს ციხიდან მიმართა.

— მინდა შეგატყობინოთ, რომ დღემდე გამოძიების მხრიდან ჩემს საქმესთან დაკავშირებით არც არანაირი რეაგირება არ მომხდარა და არც მათი დამოკიდებულება შეცვლილა. გამოძიება მიმდინარეობს ტენდენციურად, მხოლოდ მათთვის სასურველი მიმართულებით. ისინი, უბრალოდ, თვალს ხუჭავენ საქმის ობიექტურ გარემოებებზე და ეყრდნობიან მხოლოდ ცრუ მოწმის, დაინტერესებული პირის „ჩვენებებს": კერძოდ, თითქმის ერთი თვეა, არ არის დაკითხული ფაქტის ერთადერთი თვითმხილველი დაზარალებული და უგულებელყოფენ პროფესიონალი ექსპერტ-კრიმინალისტის დასკვნას. ე.წ. ექსპერტიზა ჩაატარეს კვალიფიკაციის არმქონე შსს-ს თანამშრომლებმა, — ნათქვამია ცოტნე გამსახურდიას მიმართვაში.



ცოტნე გამსახურდია მიმართვაში პირდაპირ აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია მათი ამგვარი ქცევის მიზეზი, ვინაიდან ახლა უკვე 35 დღეა შიმშილობს, ამ გზითართმევენ არა მხოლოდ თავისუფლებას, არამედ სიცოცხლესაც. „მე მხოლოდ ობიექტური გამოძიების ჩატარებისა და ყველა გარემოების გათვალისწინებას მოვითხოვ. ამ შემთხვევაში კი ჩემთვის სამართლიანობის შეგრძნება, ალბათ, სიცოცხლეზე მნიშვნელოვანია", — აცხადებს ცოტნე გამსახურდია.

ცოტნე გამსახურდია აღნიშნავს, რომ არც არაფერია გასაკვირი, იქიდან გამომდინარე, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ, კერძოდ კი შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დაატრიალა ქვეყანაში. „პრინციპში, არც არაფერია გასაკვირი. საქართველოს შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი, თავის გუნდთან ერთად, არაერთი უდანაშაულო ადამიანის მკვლელობის შემსრულებელი და ორგანიზატორია, რაც კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის. ამის გარდა, წარმოიდგინეთ, თუკი მე, ვისაც საზოგადოებაში გარკვეული წონა და გავლენა გამაჩნია, მათი მსხვერპლი გავხდი, რას უზამენ რიგით, უბრალო ადამიანს, რომელიც, ფაქტობრივად, დაუცველია".

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატმა, ქეთი ბექაურმა, საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე მამუკა გვარამიას, სადაც იგი საუბრობს ამ საქმის გამომძიებლისა და ზედამხედველი პროკურორის უკანონო მოქმედებებზე.

საჩივარში აღნიშნულია, რომ დაცვის მხარეს ორ შუამდგომლობაზე უთხრა უარი. ადვოკატი საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად მოითხოვდა და მოითხოვს, დაუყოვნებლივ დაიკითხოს დაზარალებული დავით ბაჯელიძე. მეორე შუამდგომლობით მოითხოვდა ექსპერტის წერილობით მოსაზრებასთან დაკავშირებით მოწმის სახით დამოუკიდებელი საექსპერტო-კრიმინალისტური ბიუროს ექსპერტ-კრიმინალისტის გია გოგიას დაკითხვას.

გამომძიებელმა სხირტლაძემ ორივე შუამდგომლობაზე უარი უთხრა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ გამომძიებლის უარი ყოვლად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

ადვოკატი ქეთი ბექაური მთავარი პროკურორის მოადგილე მამუკა გვარამიასადმი გაგზავნილ საჩივარში წერს, რომ ორივე შუამდგომლობა არგუმენტირებული იყო და გარკვეული საბუთებიც მოჰყავს.

ქეთი ბექაურის მტკიცებით, რაც ასახულია საჩივარში, კანონის იმპერატიული მოთხოვნის საწინააღმდეგოდ გამოძიება ჯიუტად უვლის გვერდს და განზრახ აჭიანურებს დაზარალებულ დავით ბაჯელიძის დაკითხვას, რომელიც რეალურად ერთადერთი მოწმე გახლავთ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა.

— მხოლოდ ბაჯელიძეს შეუძლია აჩვენოს, თუ რა ვითარებაში მიიღო მან სხეულის დაზიანება, ასევე შეუძლია მიუთითოს მის მიმართ დანაშაულის უშუალო ჩამდენი პირის შესახებ. ამის მიუხედავად, დღემდე სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს არც დადგენილება დავით ბაჯელიძის დაზარალებულად ცნობის შესახებ და არც დაზარალებული პირის, დავით ბაჯელიძის მამხილებელი ჩვენება. ასეთ ვითარებაში კი თეორიულად არ არსებობს არც დანაშაულის ობიექტი და არც დანაშაულის ობიექტური მხარე, მაშასადამე — არც დანაშაულის შემადგენლობა, რაც გვაძლევს უფლებას განვაცხადოთ, რომ ცოტნე გამსახურდია უკანონო პატიმრობაში იმყოფება, — აცხადებს ადვოკატი ქეთი ბექაური საჩივარში.

საინტერესოა, თუ საქმეში აღარც პირის დაზარალებულად ცნობის დადგენილებაა, მაშინ რაღა დევს და, საერთოდ, რაღას იძიებენ?!

# სააკაშვილს თავისივე ხალხი გააგდებს

## ხელისუფლებას გადარჩენა თუ უნდა, 390-იანი ბარიერი უნდა დაივიწყოს

ნონა ცაბა ე

**პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრა ის განცხადებით, საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტით ხელისუფლებამ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სუბიექტებს სერიოზული და თვისობრივად ახალი ცვლილებები შესთავაზა. რამდენად სერიოზული და დემოკრატიულია ახალი საარჩევნო კანონპროექტი, ამის შესახებ პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი გვესაუბრება:**

— ამ კანონპროექტში თვისობრივად ახალი არაფერია, განცხადება იმის თაობაზე, თითქოსდა ოპოზიციასთან მიღწეული იქნა შეთანხმება, აბსურდულია. ჩვენ რომ ვნახოთ ის ოპოზიციური პარტიები, პრაქტიკულად ეს არის მხოლოდ სახელისუფლებო ოპოზიცია, კონსტრუქციულსაც კი ვერ ვუწოდებთ. კონსტრუქციული შეიძლება იყოს სერიოზული ოპოზიცია, კონსტრუქციულია, მაგალითად, „ალიანსი საქართველოსთვის", არ არის შეურიგებლებს შორის. ახალ კანონპროექტში არაფერი ახალი არ არის, ახალია ის, თუ რატომ მოხდა მთელი ეს აურზაური, რატომ დაურეკეს ვაშინგტონიდან და რა უთხრეს ხელისუფლებას. კუბლაშვილმა ჯერ კარი რომ გაიჯახუნა, აქ ფეხს აღარ დავადგამო და რამდენიმე დღეში ისევ რომ მივიდა უკან, ეს იმიტომ მოხდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტიდან დაურეკეს და კატეგორიულად მოსთხოვეს, დაბრუნებოდნენ მოლაპარაკების მაგიდას. შემდეგ გამოიგონეს ასეთი რამ, ვითომდა ერთ-ერთმა ერთკაციანმა ოპოზიციურმა პარტიამ მოითხოვა ასეთი რამ: მოდით, რაზეც შევთანხმდით, იმას ხელი მოვაწეროთო. ესეც ტყუილი იყო, საკითხების უმეტესობაზე კენჭი ნაყარი არ ყოფილა, ლაპარაკი იმაზე, რომ ეს არის კონსენსუსის შედეგიო, ესეც ტყუილია. მოკლედ, თავიდან ბოლომდე ერთი დიდი ტყუილია.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ეს კანონპროექტი ლამაზად და ახლებურად შეფუთულია?***

— სწორედ, რომ ლამაზად შეფუთულია, ქართველი ხალხის მოსატყუებლად კი არა, ქართველი ხალხის იმ ნაწილს, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, ის არ მოტყუვდება და მეორე ნაწილი კი მშიერია და სულ არ აინტერესებს ეს საარჩევნო კანონი. ეს ყველაფერი არის დასავლეთის, კონკრეტულად კი ამერიკის მოსატყუებლად. გეტყვით იმასაც, რომ ძალიან კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა უკვე მეორეჯერ ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტის პროფესორმა კორი ველტმა, რომელიც მუშაობს ჩვენი რეგიონის და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებზე, ის წამყვანი სპეციალისტია ამ სფეროში. ყველას შეუძლია ნახოს ინტერნეტში, რას ფიქრობს იმის თაობაზე, რაც ხელისუფლებამ ტ3I-ის ოფისში გააკეთა. ძალიან მკაცრი შეფასებაა, ძალიან, თუ როგორი ზეწოლა იქნება საქართველოს ხელისუფლებაზე ამერიკის მხრიდან. თუ ჰგონია ჩვენს ხელისუფლებას, რომ ამერიკას ასე ადვილად მოატყუებენ, რომ ამერიკელები ბრიყვები არიან და ყველაფერს ჩაყლაპავენ, ძალიან შემცდარან.

***— ხელისუფლებამ მოახერხა და თავისი ვარიანტი კბილებით გაიტანა...***

— 30%-იანი ბარიერით ხელისუფლებამ უჩვენა თავის ე.წ. მოკავშირეებს დასავლეთში, რომ დედაქალაქში 30%-ზე მეტს ვერ აიღებენ. უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, შსს გამოყენებით 30%-ზე მეტს მაინც ვერ წევს. ამაზეც წერს კორი ველტი, რომ ვის გაუგია 30%-იანი ბარიერი, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს არის არაპოპულარული ხელისუფლება. შემდეგ მოყვანილია მიზეზები, ხელისუფლებას არ უნდა მერი, რომელიც მოვა 50%-იანი ბარიერით. ეს მარტო ოპოზიციას კი არ ეხება, ვთქვათ, იგივე უგულავას აელო 50%, ეს შეუძლებელია, მაგრამ ვთქვათ, სააკაშვილს ეს არ მოეწონებოდა, ის უკვე ლიად ხდება მისი კონკურენტი. დედაქალაქის 50% ვისაც მხარს უჭერს, მნიშვნელობა არა აქვს ხელისუფლების კანდიდატია თუ ოპოზიციის, მას უკვე ღიად შეუძლია დაუპირისპირდეს პრეზიდენტს. მე მახსენდება, როგორი დაპირისპირება იყო დაახლოებით ამ 20 წლის წინ საფრანგეთში, საფრანგეთის პეზიდენტსა და პარიზის მერს შორის. პარიზი არის უზარმაზარი ქალაქი და პირდაპირ არჩეული მერი, ხმების 50%-ით დაუპირისპირდა მაშინდელ პრეზიდენტს. ისე კარგად მახსოვს, მაშინ პარიზში ვიჯექი და ხალხი ტელევიზორებს არ სცილდებოდა, ნეტავ რომელი აჯობებსო. ბოლოს გაიმარჯვა პარიზის მერმა და გახდა პრეზიდენტი. ეს იყო ჟაკ შირაკი. ისინი დაუპირისპირდნენ არა პიროვნულად, არამედ პოლიტიკის გამო. ეს ყველაფერი არის სახელმძღვანელოებისთვის, სწორედ ამიტომ თავად სააკაშვილი არ დაუშვებდა 30%-ზე მეტს. მათი კანდიდატურაც რომ ყოფილიყო და აელო 30%-ზე მეტი, ის სააკაშვილის ლაქია ვეღარ იქნება. შეიძლება მას იმდენად ოპოზიციის არ ეშინოდა, რამდენადაც თავისივე კანდიდატის. მე არაერთხელ მითქვამს, რომ სააკაშვილს თავისივე ხალხი გააგდებს ადრე თუ გვიან და უფრო ადრე, ვიდრე გვიან. სააკაშვილმა ეს იცის და ამიტომ მას შეიძლება იმდენად ალასანიასი კი არ ეშინოდა, რამდენადაც უგულავასი.

***— თავს იცავს სააკაშვილი?***

— თავს იცავს კი, თუმცა ვიმეორებ, რომ დღევანდელი ხელისუფლების კანდიდატი 30%-ს კი არა 20-22%-ზე მეტს ვერ აიღებს.

***— ამ პირობებში ოპოზიციას რამდენად აქვს გამარჯვების შანსი და უნდა ჰყავდეთ თუ არა მერობის ერთიანი კანდიდატი?***

— გინდაც ერთიანი კანდიდატით წარდგეს, 30%-იანი ბარიერის პირობებში არავითარი შანსი არა აქვთ და ასეთ შემთხვევაში მონაწილეობას აზრი არა აქვს.

***— სწორედ ამის კითხვა მინდოდა, ხომ არ აჯობებს, ყველამ ერთხმად ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს?***

— ეს არ გამოვა, იმიტომ, რომ პარლამენტში უზის და პარლამენტს გარეთაც ერთ-ორ კაციანი პარტიები, რომლებსაც თავიანთი თავი რატომღაც პარტიები ჰგონიათ, არც პროგრამა აქვთ არც არაფერი, მაგრამ დაფაცურობენ აქეთ-იქით, დარბიან უშიშროების საბჭოს სხდომებზე და თავის თავს უწოდებენ ოპოზიციას. თვითონ ჰგონიათ თავიანთი თავი ოპოზიცია, მაგრამ მოხდა ლუსტრირება, ხელი რომ მოაწერეს, უკვე არც ერთ მათგანს ოპოზიციონერობაზე პრეტენზია აღარ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მათ იფიქრეს, რომ საკრებულოში გადმოგვიგდებენ ერთ-ორ ადგილს, ე.ი. ნასუფრალზე მიდიან. ბაქრაძე რომ ამაყად ამბობს რვა პარტიაო, საინტერესოა, ვინ არის ეს რვა პარტია, რომელია აქედან პარტია, ერთადერთი, ასე თუ ისე, ცოტა სერიოზული პარტიაა ქრისტიან-დემოკრატები, მაგრამ ვისი შექმნილია და ვისი ფულით, ესეც გავიხსენოთ.

***— რაც შეეხება ლეიბორისტული პარტიის ინიციატივას, ორი დღის წინ იქ ოპოზიცია შეიკრიბა და არჩევნებში დახმარება გაეროს სთხოვა...***

— კი, ძალიან საინტერესო იდეაა, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია ამის განხორციელება, თუმცა ლოგიკურად ძალიან კარგი და გამართული იდეაა. რასაკვირველია, ე.წ. შეთანხმებული კოდექსი გადაგდებული უნდა იქნას ნაგვის ყუთში და უნდა ვთხოვოთ არა გაეროს, გაერო ვერ ჩაატარებს, ან ევროსაბჭოს, ან ეუთოს, ამ ორიდან ერთ-ერთს. გაერო მთელს მსოფლიოშია, თანაც ბიუროკრატიული მანქანაა გაერო და ალბათ არ მოხერხდება. უნდა სთხოვო უფრო პატარა ორგანიზაციას, როგორიცაა ევროპული ორგანიზაციები, ეუთო მაგისთვისაა შექმნილი, ევროსაბჭო საერთოდ ადამიანის უფლებების დასაცავად და დემოკრატიული არჩევნებისთვისაა. ვიმეორებ, გაერო ალბათ არ გამოვა. გაერომ ხორვატიაში ჩაატარაო, ხორვატიაში ჩატარებამდე იქ იყო გაეროს ადმინისტრაცია, იმიტომ, რომ ის იყო დაკავშირებული კოსოვოს პრობლემასთან. გაეროს მისია საქართველოში რომ იყო, ეს მაშინ მაინც რომ გვეთქვა, კიდევ პატარა შანსი მაინც გვექნებოდა, მაგრამ გაერო წავიდა საქართველოდან, ჩვენთან მარტო ევროკავშირის მისიაა, თუმცა ის ვერ ჩაატარებს, ეს მისი ფუნქცია არ არის. უნდა ვუთხრათ ევროსაბჭოს, ის თვითონვე მოგვიტანს და დაგვიდებს კარგ საარჩევნო კოდექსს. ბოლოს და ბოლოს შეუძლიათ, რამდენიმე სერიოზულ ოპოზიციურ პარტიას, მე სერიოზულს ვგულისხმობ და არა ერთკაციან პარტიებს, რომლებიც თავის თავს და ნათესავებს უწოდებენ პოლიტიკური პარტიები ვართო. ვინც არიან სერიოზული პარტიები, ძირითადათ ეს არის ოთხი მთავარი ძალა, რომლებსაც შეურიგებლები ეწოდება და პარლამენტიდან ისევ ქრისტიან-დემოკრატები უნდა იყვნენ. მიუხედავად ყველაფრისა, გამოვა სულ ხუთი პარტია, რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება და ჩარიონ ამ პროცესებში საერთაშორისო ორგანიზაცია, ეს უნდა იყოს ან ეუთო, ან ევროსაბჭო. შესაძლებელია ორივე ერთადაც, არა დამკვირვებლებად, არამედ მათ თავად უნდა ჩაატარონ არჩევნები.



***— ხელისუფლება რამდენად არის ამაზე წამსვლელი?***

— დღეს ძალიან მნიშვნელოვან განცხადებას გააკეთებს ამერიკის პრეზიდენტი და შესაძლოა ჩვენზეც იყოს ლაპარაკი. ძირითადად მისი საუბრის თემა იქნება ახალი სტრატეგია ავღანეთში, მაგრამ წინასწარ გახდა ცნობილი, რომ ის ახსენებს სამხრეთ კავკასიასაც და შუა აზიას. საუბარი იქნება იმაზე, რომ თუ დემოკრატიული გარდაქმნები არ მოხდა, შეწყდება ფინანსური დახმარება, ეს არის წინასწარი ინფორმაცია, რაც გუშინ ამერიკის ხმამ თქვა.

***— ეს ალბათ სერიოზული მესიჯი იქნება ჩვენი ხელისუფლებისთვის...***

— სერიოზული მესიჯია ნამდვილად, ესენი რომ ფიქრობენ ამერიკას მოვატყუებთო, ასე არ არის. კუბლაშვილმა კარი რომ გაიჯახუნა, იმავე საღამოს იცოდნენ ყველაფერი. უნდა წავიდნენ დემოკრატიული გზით. მოსახლეობის 90% შიმშილობს, მშიერი და გაბოროტებული ხალხი ისე წყნარად კი აღარ დადგება ქუჩაში ოპოზიციას რომ გამოყავდა ხოლმე და მხოლოდ „მიშა წადის" იძახდა. მშიერი ხალხი ბევრ სხვა რამესაც გააკეთებს, ოპოზიციის ლიდერებს კი აღარ მოუსმენს, სწორედ ოპოზიციის ლიდერები იყვნენ, რომლებიც გაღიზიანებულ მოსახლეობას აკავებდნენ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ხალხი აღარავის მოუსმენს და ეს სცენარი არავის არ გვჭირდება. შესაძლოა უმართავი პროცესები დაიწყოს, თუ აქამდე ხელისუფლებამ გაძლო, მადლობა უთხრან ოპოზიციას, რომ წესიერი ოპოზიცია გვყავს და აქვთ პოლიტიკური შეგნება, არ მისცეს ხალხს უფლება უმართავი პროცესები დაწყებულიყო. მშიერ და გაბორეტებულ ხალხს ვეღარც სპეცრაზმით შეაშინებ და ვეღარც პოლიციით. ამიტომ, თუ თავის გადარჩენა უნდა ხელისუფლებას ხალხის რისხვისგან, ჯობია დემოკრატიულ არჩევნებზე წავიდეს და ეს სულელური 30%-იანი ბარიერი დაივიწყოს.

# „ჩემი სიცოცხლის გადარჩენისთვის დოკვაძეს მადლობას ვუხდი!“

## დოკვა ის პროცესზე კვირჭიშვილის ყოფილი რ ალი დაკითხეს

გულიკო ბალა ე

**ქალაქის სასამართლოში მოსამართლე ეკა შარაშენიძის თავმჯდომარეობით კვლავ გრძელდება ცნობილი პოლიტპატიმრის, ირაკლი დოკვაძის სასამართლო პროცესი.**

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ირაკლი დოკვაძეს ბრალად სდებენ 25 აპრილს ფალიაშვილის ქუჩა №90-ში მომხდარი დანაშაულის ჩადენას. ამ დღეს თავს დაესხნენ გოჩა კვირჭიშვილსა და მის მეუღლეს ელზა გულიაშვილს და მიაყენეს მძიმე დაზიანება.

ამ საქმესთან დაკავშირებით დღეისთვის ბრალდების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოწმე დაკითხულია. საქმეში ერთ-ერთ მთავარ მოწმეს წარმოადგენს კვირჭიშვილის რძალი — ძმის ცოლი, რომელთანაც მას დავა აქვს ბინასთან დაკავშირებით. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, კვირჭიშვილს ამის გამო რძლის მოკვლაც უნდოდა.

კვირჭიშვილის მიერ დანაშაულის (რძლის მოკვლის მომზადება) მზადების შესახებ ინფორმაციის შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის შეუტყობინებლობის გამო დააპატიმრეს ირაკლი დოკვაძე.

სწორედ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების ბრალდებით გოჩა კვირჭიშვილს საავადმყოფოდან ციხეში გადაყვანა ემუქრებოდა, თუ არ განაცხადებდა, რომ მას და მის მეუღლეს ირაკლი დოკვაძემ მიაყენა სხეულის დაზიანება. ასეთი ჩვენების მიცემის შემდეგ გამომძიებამ გოჩა კვირჭიშვილს აღარ წაუყენა ბრალი, ხოლო დოკვაძეს მოუხსნა დანაშაულის მზადების შესახებ განუცხადებლობის ბრალდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრალი დაუმძიმა, გოჩა კვირჭიშვილისა და მისი მეუღლის მკვლელობის მცდელობის ბრალდება წაუყენა, რასაც ირაკლი დოკვაძე კატეგორიულად უარყოფს.

ირაკლი დოკვაძის ადვოკატები აცხადებენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფს უნდა მოეხსნას კვირჭიშვილსა და გულიაშვილზე თავდასხმის ბრალდება და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდეს, რადგან მის მიმართ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა.

ამჟამად ირაკლი დოკვაძეს იცავენ ადვოკატები ლუნა ჯიჯელავა და ვალოდია ტაბალუა. სამწუხაროდ, ირაკლი დოკვაძის ერთ-ერთი ადვოკატი ალექსანდრე არახამია სამეგრელოში ავტოავარიის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა, რისთვისაც სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.

გოჩა კვირჭიშვილმა, გარდა იმისა, რომ მის მეგობარს, ირაკლი დოკვაძეს, თავდასხმა დასდო ბრალად, მის რძალს, ნანა ანდრიაშვილს, მკვლელობის შეკვეთა დააბრალა, მაშინ როცა თვითონ ირაკლი დოკვაძის პირველ ბრალდებაში გარკვევით ეწერა, რომ პირიქით, თვითონ კვირჭიშვილი უკვეთდა რძლის მკვლელობას.

ნანა ანდრიაშვილმა კი სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ირაკლი დოკვაძეს საერთოდ არ იცნობს.

გოჩა კვირჭიშვილმა სასამართლოზე დაკითხვისას განაცხადა, რომ ირაკლი დოკვაძე ნანა ანდრიაშვილს ძმის პანაშვიდზე გააცნო, ამიტომ სასამართლოზე ამ მიმართულებით კითხვები დაისვა. ნანა ანდრიაშვილმა აღნიშნა, რომ შეიძლება ასეც იყო, თუმცა მაშინ ის ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არაფერი ახსოვს, ირაკლი დოკვაძესაც პირველად ხედავს და არც არასოდეს სმენია ამ პიროვნების შესახებ.

როგორ ახასიათებს ყოფილი რძალი გოჩა კვირჭიშვილსა და მის ოჯახს? ძალიან ცუდად.

— ირაკლი დოკვაძეს ნამდვილად არ ვიცნობ, ამბობენ, პანაშვიდზე მოდიოდაო, მაგრამ არ მახსოვს. პირველად ირაკლი დოკვაძე ტელევიზიის ეკრანზე ვნახე, — თქვა მოწმემ.



***— პირადი ინტერესი ხომ არ გაქვთ განსასჯელის მიმართ?***

— არა, თუმცა მინდა, პირადად მადლობა გადავუხადო ჩემი სიცოცხლის გადარჩენისთვის. ჩემი და ჩემი შვილის მიმართ დღესაც ვგრძნობ საშიშროებას.

***— დაზარალებულისადმი პირადი დაინტერესება ხომ არ გაქვთ?***

— გოჩა კვირჭიშვილი მეუღლის ქონებას მედავება. თავიდან, როცა ჩემი ქმარი გარდაიცვალა, მათ მიმიღეს, როგორც რძალი, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა.წესიერი კაცი გოჩას ხელს არ ჩამოართმევს. გოჩასთან ვინც მეგობრობდა, ყველანი შნირები იყვნენ.

***— ირაკლიც?***

— ეტყობა, ირაკლი დოკვაძე ცოტა უფრო მაღალი დონეა. მე ის კვირჭიშვილის ბინაში არ მინახავს.

ნანა ანდრიაშვილი ყვებოდა, თუ როგორ დაურეკა ორი თვის შემდეგ დედამთილს და უთხრა ბინის შესახებ, დედამთილმა კი უპასუხა, როგორც გინდა, ისე მოიქციო.

— სასწრაფოდ დავურეკე ბავშვებს, რომ მოსულიყვნენ ჩემს ბინაში, სადაც ვიხდიდი ორმაგ გადასახადს. ბავშვები მამის ოჯახთან აგრძელებდნენ ურთიერთობას, დღესასწაულის დღეებში მიდიოდნენ ხოლმე, — თქვა ნანა ანდრიაშვილმა. მისმა დედამთილმა, მოწმე გაბუნიამ და თვითონ კვირჭიშვილმა კი განაცხადეს, ბავშვებს დაგვაშორაო.

— პანაშვიდზე ვიგებდი, რომ დათოს (კვირჭიშვილის ძმა) ბინები და მანქანა ფალიაშვილის 90-ში იყო, შემდეგ კი მითხრეს, რომ ბინები უნდა გაექირავებინათ 6 თვის შემდეგ. დამქირავებელი ვიპოვე, მაგრამ ტელეფონს მითიშავდნენ და მემალებოდნენ, მერე თვითონ გააქირავეს. მე უკეთესი დამქირავებელი მყავდა — 2.000 დოლარს იხდიდა. მათ 1.500 დოლარად გააქირავეს. ქირა თვითონ მოჰქონდათ, შემდეგ შეწყვიტეს, დედამთილმა თქვა, მისამართი არ ვიცითო.

აქ დედამთილი საუბრობდა იმაზე, რომ 1000 დოლარს ყოველთვიურად უგზავნიდა ყოფილ რძალსა და შვილიშვილებს. აბა, როგორია ამდენი ფულის გაგზავნაო, — დასძენდა იგი. ნანა ანდრიაშვილი კი მოსამართლეს იმოწმებდა, რომ ის, რასაც იღებდა, კანონიერად ეკუთვნოდა.

— სარჩელი შევიტანე, ჩვენი კუთვნილი რომ მიგვეღო. სასამართლოზე მობრძანდა გოჩა კვირჭიშვილი. მოსამართლემ უთხრა გოჩას, ესენი რასაც იღებენ, კანონიერიაო. იმ სასამართლოზე გოჩა კვირჭიშვილი მოსამართლის თვალწინ დამემუქრა, შე ნაბიჭვარო, თავს მოგაჭრიო, რისთვისაც მოსამართლემ ის სასამართლო პროცესიდან გააძევა.

ეს კვირჭიშვილმაც აღიარა დაკითხვისას, ოღონდ თქვა, ნაბიჭვარი ვუწოდე და იმიტომ გამაძევაო. ასევე კვირჭიშვილმა აღიარა, რომ მას დიდი ოდენობით ფულიც ედო ჯიბეში, რომ რამდენჯერაც დააჯარიმებდნენ სასამართლოზე, იმდენჯერ გადაეხადა და სასამართლოზე დაბრუნებულიყო.

მოწმე ნანა ანდრიაშვილმა სასამართლოზე განაცხადა აგრეთვე, რომ გამომძიებელმა ზაზა ჟამერაშვილმა ჩამოართვა ჩვენება.

— ჟამერაშვილმა მითხრა: იცით, რომ ეს ყველაფერი თქვენზე იგეგმებოდაო? წარმოიდგინეთ, მართლა რომ მომხდარიყო, რა მომივიდოდა. გამომძიებელმა ჟამერაშვილმა გამაცნო დეტალები და მითხრა, რომ ირაკლის მიუტანია მოსასმენი აპარატი. კვირჭიშვილს იარაღები რომ ჰქონდა, ვიცოდი, რადგან მათ ჰყავდათ შესანიშნავი ბაბუა, რომელსაც არ აკლდა ხელით შეხება მისი შვილისაგან. გოჩამ თუ შეიძინა იარაღი, არ ვიცოდი. ჟამერაშვილმა მათი სეიფიდან იარაღები ამოიღო, იყო დენთის სუნი, კოკა-კოლას ბოთლები, იარაღი. მანვე განმიმარტა, რისთვისაც იყო, — განაცხადა ნანა ანდრიაშვილმა.

სასამართლო პროცესზე ანდრიაშვილის ჩვენების ეს ნაწილი ირაკლი დოკვაძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას ემთხვევა.

— „ახალი თაობის“ ერთ-ერთ ნომერში გოჩა ამბობს, ჩემგან წასული ირაკლი დოკვაძე ნანას მოკლავდა, რომ ჩემთვის დაებრალებინაო. ეს უკვე მტკიცებულებაა, რომ გოჩას ნამდვილად უნდოდა ჩემი მოკვლა, — განაცხადა სასამართლოზე ნანა ანდრიაშვილმა, — ჩემსა და ჩემი შვილების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. აშკარაა, რომ მან ჩემი მოკვლა მოინდომა. გოჩა კვირჭიშვილი დედასაც მოკლავს ფულის გულისთვის.

პროკურორმა ჰკითხა, გაჭირვებით ცხოვრობდა თუ არა.

— როცა კვირჭიშვილებისაგან წამოვედი, ძმამ ბინა შემიძინა. ვმუშაობდი ტელევიზია „ევრიკაში“, პოლიტიკური გადაცემა მქონდა. შემდეგ სააკაშვილის მრჩეველთა საბჭოში ვმუშაობდი ცინცაძესთან. ალიმენტს არ ვიღებდი. ბინა ჩადებული მაქვს ბანკში. ამ წუთში ფინანსურად ძალიან ცუდად ვარ. ფინანსურად კვირჭიშვილების ოჯახი ნამდვილად არ მეხმარება. გოჩა კვირჭიშვილი კაცი რომ ყოფილიყო, ძმისშვილებს კი არა, მეც მიპატრონებდა.

***— ბინა რომ მიგეღოთ, უნდა გაგეყიდათ?***

— არ ვიცი, ბავშვები რას გადაწყვეტდნენ.

— გოჩამ თქვა, ბინა უნდა გაეყიდა და ბავშვები ქუჩაში უნდა დაეტოვებინა, თორემ ჩვენ ბინას ვაძლევდითო.

აქ პროკურორმა მოწმეს დაუწყო მწვავე კამათი ბინასთან დაკავშირებით.

— მე იქ საცხოვრებლად ვიყავი მისული. ადრე მეოთხე სართულზე ყველა ერთად ვცხოვრობდით. ახლა იქ ჯერ ვერ ვიცხოვრებ, რადგან პირველი სართული დედამთილს ეკუთვნის, შემდეგ გავაქირავებ. გოჩასა და დათოს ძმური ურთიერთობა არ ჰქონდათ. მე მაქვს ბიზნესი. დათომ იქ მომაკითხა და მითხრა, გვერდში დამიდექი, ყველაფერი გოჩას უნდაო.

— გოჩას ცუდად მოიხსენიებთ, რატომ? — ჰკითხეს ნანა ანდრიაშვილს.

მან კი ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მივიდნენ მათთან სახლში მხედრიონელები 1922 წელს და ეძებდნენ გოჩა კვირჭიშვილს, ის კი სახლიდან გაიპარა. მაშინ 6 თვის ფეხმძიმე იყო, მისი ქმარი შიშისგან გათეთრებული მივიდა სახლში.

ნანა ანდრიაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ გოჩა კვირჭიშვილს 600.000 აქვს საპატრიარქოდან წამოღებული. ეს თანხა საპატრიარქომ ვერ დაიბრუნა.

ნანა ანდრიაშვილი გოჩა კვირჭიშვილის მეგობრებზე ამბობს, წესიერი, მაგრამ უთავმოყვარეო ადამიანები იყვნენო. „მეგობარმა რომ გითხრათ, ფანჯრიდან გადახტიო, უნდა გადახტეთ?“, — ამბობს იგი.

ნანა ანდრიაშვილს ჰკითხეს, იცნობდა თუ არა ვეფხია ოდიშარიას. მან უპასუხა, რომ ვეფხია კვირჭიშვილების ოჯახის ახლობელი იყო. „დათომ მითხრა, წავკისი არ მინდა, დაჩა ზღვაზე მინდაო. როცა დავა დაიწყო, გამახსენდა წავკისი და ოდიშარიას ვკითხე, ხომ არ გამიგებდა, წავკისის აგარაკი დათოზე ხომ არ იყო გაფორმებული. ვეფხიამ თვითონ იცოდა შემორბენა ხუთი წუთით მარკეტში“.

— რადგან მის მეგობრებთან მეგობრობთ, ე.ი. გოჩა მთლად ცუდი პიროვნება არ ყოფილა, — პროკურორი შეეცადა, ცოტა მაინც გაექარწყლებინა კვირჭიშვილის უარყოფითი იმიჯი, მაგრამ ნანა ანდრიაშვილმა უპასუხა, მე არ მითქვამს, ვეფხია გოჩას მეგობარი იყოო... გოჩას ბინაში ფეხი არასოდეს შემიდგამს. სანამ ერთად ვიყავით, არ გამიგია, რომ გოჩა ისროდა. ისიც არ ვიცი, გოჩას იარაღი თუ ჰქონდაო.

ნანა ანდრიაშვილმა ისაუბრა იმაზე, რუსეთში სწავლისას როგორ დააპატიმრეს გოჩა და დედამისმა როგორ დაიხსნა და გადმოიყვანა თბილისში, განაცხადა, რომ მისი მეუღლის გარდაცვალების საკითხიც აეჭვებს.

— გოჩამ თქვა, დათო შაქრით გარდაიცვალაო. მე ეს ძალიან მაეჭვებდა, — თქვა მან, — ეჭვიც არ მაქვს, რომ კვირჭიშვილი ჩემს მოკვლაზე საუბრობდა. მან გაყიდა ჩემი ქმრის მანქანა და ის თანხმა მიითვისა. ამიტომ ჩამოვედი ოჯახიდან.

ნანა ანდრიაშვილმა განაცხადა, რომ გოჩა კვირჭიშვილს ელზა გულიაშვილთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, დედამთილიც უარყოფითად დაახასიათა და სხვა ისეთი ფაქტები მოყვა, რაც გოჩა კვირჭიშვილს უარყოფითად წარმოაჩენს.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამჟამად გოჩა კვირჭიშვილი ისრაელში გაემგზავრა, როგორც გვითხრეს, სამკურნალოდ. არ არის ცნობილი, როდის დაბრუნდება.

---

შორენა კოწოწაშვილი

# სააკაშვილმა სასამართლო დაიმონა

**ადგილობრივი არჩევნების წინ გამოიკვეთა, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ ოპოზიციის მართვა და საკუთარ თამაშში ჩართვა შეძლო, არამედ ფაქტია, სწორედ ოპოზიციის ნაწილის წყალობით მიიღო სასურველი საარჩევნო გარემოზე ხელმოწერილი დოკუმენტი. ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას ნაყიდი ჰყავს და რომ ირაკლი ალასანიას „ალიანსმა" უნდა გადახედოს არჩევნებში მონაწილეობის საკითხს.**



**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, პოლიციისთვის ფუნქციების გაზრდასა და სასამართლოს ნგრევაზე „ახალ თაობასთან“ ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი საუბრობს.**

***— ბატონო გელა, რამდენად რეალური ნაბიჯები იდგმება დემოკრატიის მეორე ტალღის ფარგლებში?***

— დემოკრატიის მეორე ტალღაში ჩვენ ვნახეთ ის, რომ სამი ადამიანის შეკრება გამოცხადდა კანონსაწინააღმდეგოდ, მიტინგად, მანიფესტაციად. ამისთვის ადამიანები დააკავეს და სამართალდამრღვევებად გამოაცხადეს. დემოკრატიის მეორე ტალღაში ვნახეთ, როგორ უდებენ იარაღს ან ნარკოტიკს ადამიანებს და იჭერენ პოლიტიკური ნიშნით. დემოკრატიის მეორე ტალღაში ვნახეთ, როგორ დააბრალეს დანაშაული არაერთ ადამიანს და ჩვენმა ე.წ. რეფორმირებულმა სასამართლომ როგორ თვალდახუჭულად გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენები. ალბათ, დემოკრატიის მეორე ტალღის ნიშანია ისიც, რომ როდესაც ამ დაკავებული ე.წ. მანიფესტანტების, რომლებსაც თურმე ხალხისთვის ხელი შეუშლიათ ქუჩაში გავლაში, სასამართლო გაიმართა, მოსამართლემ არ მოინდომა იმ კადრების ნახვა, თუ როგორ მოხდა ეს დაკავება და თვალდახუჭულმა დაიჯერა პოლიციელის ჩვენება, რომელიც აბსოლუტური სიცრუე იყო. ეს არის დამახასიათებელი და ტიპური სახე დღევანდელი სასამართლოსი. ეს არის გამოკვეთილი სახე, თუ როგორ ხდება ის, რომ ვიღაც სერგო მეთოფიშვილი, რომელიც ყველანაირ ნაძირლობას აწერს ხელს, რასაც დაავალებენ, ასევე სხვა მოსამართლეები — ყვავაძე, გვრიტიშვილი, სამივე, რომლებმაც ამ ბიჭებს ეს უკანონო განაჩენი შეუფარდეს. აი, ასეთია დღეს ის ტიპი, რომელიც შექმნა ამ ხელისუფლებამ. ახალი ადამიანი შექმნა მან, რომელმაც უნდა იძახოს, რომ ჩვენთან არის დემოკრატია და რეალურად იყოს აუტანელი რეჟიმი, როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს ხდებოდა. მაშინ ამბობდნენ, ჩვენთან არის წინწასული დემოკრატია, რომელსაც ჰქვია სოციალისტური დემოკრატიაო. აქედან გამომდინარე, იმას, რაც ჩვენთან ხდება, პირობითად შეიძლება „ნაციონალური დემოკრატია“ დავარქვათ, არჩევნების გაყალბებით დაწყებული და პოლიტპატიმრების გაჩენით დამთავრებული, რომლებიც უკვე აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. აი, ეს არის დამახასიათებელი ე.წ. დემოკრატიის მეორე ტალღისთვის. აქვე დავამატებ ე.წ. პატრიოტის აქტს, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავს სამოქალაქო უფლებებს; საპატრულო პოლიციისთვის განუსაზღვრელი უფლებების მიცემას საკანონმდებლო დონეზე, ანუ რასაც აქამდე აკეთებდნენ პოლიციელები, უკანონო ჩხრეკა იქნებოდა ეს თუ მოსმენები და ჩადებები, ახლა თითქმის ლეგიტიმურ ხასიათს იღებს.

***— იდგმება თუ არა ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს ჩამოსაყალიბებლად?***

— სასამართლო არის მთავარი საყრდენი წერტილი, ხერხემალი ამ სახელმწიფოსი. შეძლეს, სასამართლოში დაენიშნათ საკუთარი მოსამართლეები, რომლებიც აბსოლუტურად ყველაფერს უსიტყვოდ ასრულებენ, თვალდახუჭულნი მზად არიან, ნებისმიერ დოკუმენტს ხელი მოაწერონ. ეს რომ არ იყოს, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუნდაც საარჩევნო კომისიები, ასე თამამად ვერ იმოქმედებდნენ და ვერ გააყალბებდნენ ფაქტებს. ამ უწყების წარმომადგენლებმა იციან, რაც არ უნდა დააშავონ, მათ ხელისუფლება დაიცავს და სასამართლოში აუცილებლად გაამართლებენ. ასე რომ, ხელისუფლება სასამართლოში ცვლილებებისთვის ზრუნავს მხოლოდ იმ კუთხით, რომ გარეგნულად შეიცვალოს, მოწესრიგდეს და სისუფთავე იყოს, ხოლო შიგნით რაც ხდება, საშინელებაა, ვინაიდან არც ერთი ადამიანი არ არის დაცული უსამართლო განაჩენისაგან.

***— პრეზიდენტმა იცის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ უსამართლობამ გამოიყვანა ქუჩაში. რატომ არ ცდილობს იგი სასამართლოში სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევას?***

— შეუძლებელია, მან ეს გააკეთოს, იმიტომ, რომ ეს არის მისი ხერხემალი, მართვის მეთოდი.

***— უსამართლო განაჩენების გაზრდა პრესის დასწრების შეზღუდვამაც გამოიწვია სასამართლო პროცესებზე?***

— ჟურნალისტებს აღარ აქვთ საშუალება, ვიდეო და აუდიოჩანაწერებით გამოიტანონ სიმართლე იქიდან. ეს ერთი მომენტი იყო და თან უკვე ინტერესიც შესუსტდა. ძალიან დიდი ბერკეტი გამოეცალათ მოქალაქეებს, ადვოკატებს, რომ სიმართლე ამცნონ საზოგადოებას. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც აიკრძალა აუდიო და ვიდეოჩანაწერების გაკეთება სასამართლოში, არის ის, რომ თავიანთ ნებაზე, როგორც უნდათ, ისე ადგენენ სასამართლო სხდომის ოქმებს.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ხელისუფლება ანგარიშს მისწორებს!

**ეკა ბესელია ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს, შვილისა და მის დაპატიმრებას ისევ იმას უკავშირებს, რომ ხელისუფლებასთან დიალოგზე არ წავიდა. ეკა ბესელია დარწმუნებულია, რომ ის, რაც მისი ოჯახის ირგვლივ ხდება, უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მიერ კონტროლდება.**

შორენა კოწოწაშვილი

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ეკა ბესელიას არასრულწლოვანი შვილი რატი მილორავა და ძმა სერგო ბესელია 19 აგვისტოს ქობულეთში, კაფე „ელიზაში“ მომხდარი შელაპარაკების შემდეგ დააპატიმრეს. არასრულწლოვანი მილორავა, რომელიც, ადვოკატ ლილი გელაშვილის თქმით, უკანონოდ დააპატიმრეს და დაპატიმრების პროცესში მისი უფლებებიც შელახეს — 7 საათის განმავლობაში მასთან ადვოკატი არ შეუშვეს — პატიმრობიდან გირაოს, 4 ათასი ლარის სანაცვლოდ გათავისუფლებულია, ხოლო ეკა ბესელიას ძმა, სერგო ბესელია, დღემდე პატიმრობაში რჩება.

ალსანიშნავია, რომ მილორავასა და ბესელიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სს კოდექსის 239-ე მუხლით. მათ ბრალი წარედგინათ ხულიგნობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის. სისხლის სამართლის კოდექსით, აღნიშნული ბრალი 12 წლით პატიმრობას ითვალისწინებს.

მომხდარი ფაქტი ბესელიამ თავიდანვე კარგად დაგეგმილ პროვოკაციად შეაფასა. მისი თქმით, სასამართლო პროცესი, რომელიც მისი შვილისა და ძმის მიმართ ბათუმში მიმდინარეობს, არის პოლიტიკური სასამართლო და გადაწყვეტილებაც, შესაბამისად, პოლიტიკური იქნება.



— ეს არის ხელისუფლებასა და მის პოლიტიკურ ოპონენტს შორის გამართული სასამართლო პროცესი. ხელისუფლების სახით ამ საქმეში წარმოდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტრო, მეორე მხარეს კი — ჩემი ოჯახის წევრები — სკოლის მოსწავლე, არასრულწლოვანი შვილი და სრულიად უდანაშაულო ძმა, რომელიც ოთხი თვეა პოლიტიკურ მძევლობაში ჰყავს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს და პირადად მიხეილ სააკაშვილს, იმიტომ, რომ არც ერთ მათგანს არანაირი გადაცდომა არ ჩაუდენია, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეკა ბესელიამ და ჟურნალისტების ყურადღება იმ რამდენიმე დეტალზე გაამახვილა, რომლებიც სერგო ბესელიას წინააღმდეგ აღძრულ საქმეს უკავშირდება და რომლითაც აშკარად იკვეთება ძალოვანი უწყების ინტერესები.

ალსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესი ბათუმის სასამართლოში დღეიდან 12 დეკემბრამდე ყოველდღიურად ჩატარდება. სავარაუდოდ, სასამართლო შეეცდება, რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს სასამართლო პროცესი, რომელზეც ბრალდებულის დაცვის მხარემ უკვე მოითხოვა დავით ჯაფარიძის ხელახლა, დამატებით დაკითხვა.

**ეკა ბესელია:**

— უკვე გამოიკვეთა ფაქტები, რომლებიც პირდაპირ ადასტურებს, რომ ეს არის პოლიტიკური სასამართლო დავა. ბრალდების მხარეს წარმოადგენენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ერთი და იმავე გაზეპირებული ტექსტით ყვებიან აბსურდს, სიცრუეს და ეს დაკითხვის ოქმებით უკვე გამოჩნდა. ამავე დროს, ბრალდების მხარეს წარმოადგენს ცოლ-ქმარი, დავით ჯაფარიძე და თამთა ქობულაძე. ვინ არიან ისინი და რა გამოიკვეთა სასამართლო პროცესზე? — დავით ჯაფარიძე გახლავთ ბოლნისის ყოფილი გამგებლის ზურა ჯაფარიძის ძმისშვილი. დავით ჯაფარიძის ძმა, ელგუჯა ჯაფარიძე, მუშაობს შს სამინისტროში, რომელიც ასევე ჩარეულია ამ საქმეში. სწორედ მისი ჩარევით და მის მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგად მისცა დავით ჯაფარიძემ ჩვენება გამოძიების ეტაპზე. ეს გამოიკვეთა თავად დავით ჯაფარიძის დაკითხვის დროს. კონკრეტულად ელგუჯა ჯაფარიძის სამსახურებრივი სტატუსის თაობაზე ინფორმაციას მალავენ, მაგრამ სასამართლომ დაავალა შს სამინისტროს, გასცეს ცნობა, რა თანამდებობაზე მუშაობს ელგუჯა ჯაფარიძე. დავით ჯაფარიძის უახლოესი ნათესავია აგრეთვე ზურა პაპასკირი, მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის წევრი. ჯაფარიძის სიმამრი არის პოლიციის მოქმედი ჩინოსანი, პოლიციის უფროსის მოადგილე, დედა, გულნარა ლიპარტელიანი, გახლავთ მოსამართლე. დავით ჯაფარიძის მეუღლის ბიძა, გოჩა კაპანაძე, გახლავთ ბოლნისის გამგებლის მოადგილე, ყოფილი პროკურორი. მისი მამიდაც ასევე მოსამართლის თანამდებობაზეა, ანუ ბრალდების მხარის, ჯაფარიძის ოჯახი ხელისუფლებისა და ძალოვანი უწყების წარმომადგენელია. ეს გახლავთ ის მხარე, რომელიც ამ შემთხვევაში უპირისპირდება დაცვას, ანუ ჩვენ გვიპირისპირდება შს სამინისტრო და მისი სახით — ხელისუფლება.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დავით ჯაფარიძე ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან ერთი თვის შემდეგ მივიდა მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ ოფისში ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე. ბესელიას თქმით, ჯაფარიძეს ახლდა სამი ადამიანი. შეხვედრას ესწრებოდა ოპოზიციური პარტიის ორი ლიდერიც.

— დავით ჯაფარიძემ ამ ოფისში ღიად ისაუბრა ამ ადამიანების თანდასწრებით, როგორ მოახდინეს მასზე ზეწოლა დაკავების დროს და როგორ აიძულებდნენ მას, მიეცა ჩვენება ჩემი არასრულწლოვანი შვილისა და ძმის წინააღმდეგ. ჯაფარიძეს უთხრეს, რომ დაიჭერდნენ, თუ ამ ჩვენებას არ მისცემდა. მას აქვს პირობითი მსჯავრი. ის ნასამართლევია, როგორც თავად ამბობს, ყალბი დოკუმენტების დამზადებისთვის. პოლიცია მას ეუბნებოდა, რომ მას ეს ჩვენება უნდა მიეცა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიჭერდნენ. ამ შეხვედრის დროს დავით ჯაფარიძე ყვებოდა დეტალებს, როგორ განხორციელდა ზეწოლა მასზე და ხსნიდა გარემოებას, როგორ მოხდა ჩვენების მიცემა, ამბობდა, რომ არ მომხდარა ის დანაშაული, რაზეც არის ლაპარაკი. იყო სიტყვიერი კამათი მასსა და სხვა, ვინმე ჭკუასელს შორის და ამ კამათში არ ჩარეულა არც ჩემი შვილი და არც ძმა. ჯაფარიძემ ახსნა, რატომ მისცა მან გამოძიებას ისეთი ჩვენება, რომელიც გახდა დაკავების საფუძველი. ჯაფარიძე ამბობდა, თუ ის ამ ჩვენებას არ მისცემდა, დააპატიმრებდნენ, — განაცხადა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, ამ დროს ჯაფარიძემ ახსენა თავისი ძმა, რომელიც პოლიციელია და სიმამრი, რომელიც პოლიციის უფროსის მოადგილეა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სასამართლო პროცესზე დავით ჯაფარიძემ ეკა ბესელიასთან შეხვედრის ფაქტი დაადასტურა. ბესელიას თქმით, ეს შეხვედრა არ ყოფილა კონფიდენციალური. მართალია, შეხვედრა დაადასტურა, მაგრამ ჯაფარიძემ ზეწოლის ფაქტებზე ინფორმაცია სასამართლოს არ მიაწოდა.

იურისტი ბესელია განმარტავს, რომ მოწმეზე ზეწოლა არ ნიშნავს მხოლოდ ფიზიკურ ძალადობას. ეს ნიშნავს ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც. ამ შემთხვევაში ხდება მთელი რიგი ბერკეტების გამოყენება. ზემოქმედების ბერკეტად ითვლება ჯაფარიძის ნასამართლეობა და პოლიციელი ძმა.

— მე არ ვამბობ, რომ ჯაფარიძეს პოლიციაში სცემეს. მე ვამბობ იმას, რასაც ის ყვებოდა. მას უთხრეს, რომ თუ ის ბესელიასა და მილორავას წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემდა, მისი ძმა იყო საფრთხის ქვეშ. ძალიან იოლი იყო დავით ჯაფარიძეზე ზეწოლა. მან ეს ახსნა და ეს ფაქტები დადასტურდა, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მივიდა დავით ჯაფარიძე, რომლის ჩვენების გამოც სერგო ბესელია ციხეში ზის, ეკა ბესელიასთან პარტიის ოფისში, ოქრუაშვილის პარტიის ლიდერს ამის საკუთარი ახსნა აქვს. ბესელია ფიქრობს, რომ ჯაფარიძე წუხდა იმ ცრუ ჩვენების გამო, რომელიც მან გამოძიებას მისცა. ის ცდილობდა აეხსნა, თუკი მიეცემოდა შესაძლებლობა, სიმართლეს იტყოდა. ბესელიას აზრით, რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი იყო.

— სასამართლოზე დაიკითხა თამთა ქობულაძე, რომელმაც თქვა, რომ ამ შეხვედრის შესახებ იცოდა მეუღლისგან. ის, რაც ამ შეხვედრაზე დავით ჯაფარიძემ ილაპარაკა, არ იყო სრული სიმართლე, რომ თითქოს მან აქ ტყუილი თქვა. რაში დასჭირდა ჯაფარიძეს აქ ტყუილების ლაპარაკი, სრულიად გაუგებარი გახლდათ. ეს იყო დარიგებული განცხადება, რომელიც მისმა მეუღლემ სასამართლო პროცესზე გააკეთა. ალბათ, ხვდებით, რისთვის იყო ეს განცხადება გაკეთებული. იყო მცდელობა იმისა, რომ მეუღლეს ეთქვა, თითქოს დავით ჯაფარიძე აქ იმიტომ მოვიდა, რომ მას ჩვენების შეცვლას სთხოვდა ვინმე, — აღნიშნა ეკა ბესელიამ და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ეტაპზე შეგნებულად თავს იკავებს იმ პოლიტიკოსების დასახელებისგან, რომლებიც მისი და დავით ჯაფარიძის შეხვედრას ესწრებოდნენ. საჭიროების შემთხვევაში, ამ პოლიტიკოსების ვინაობა საჯარო გახდება.

მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი აცხადებს, რომ ხელისუფლების ინტერესებშია ამ შეხვედრის მათ წინააღმდეგ გამოყენება. ბესელიას თქმით, ეს არის აბსოლუტური კრახი და ამით ხელისუფლება ვერაფერს მიაღწევს, რადგანაც ამ შეხვედრას, მათ გარდა, სამი ადამიანი ესწრებოდა.

— ჩვენი პოზიცია არის ერთმნიშვნელოვანი: არანაირი დანაშაული არ მომხდარა. პოლიტიკური სასამართლო დავაა და მე ვაპირებ, პოლიტიკური და სამართლებრივი მეთოდებით გავაგრძელო ოპონირება. პოზიციის შეცვლას არ ვაპირებ, იმის მიუხედავად, რომ ყველა ზღვარს სცილდება ის, რაც ახლა სასამართლო პროცესზე ხდება. ეს არის პირდაპირი შურისძიება და ანგარიშსწორება, — აღნიშნა პრესკონფერენციის ბოლოს ეკა ბესელიამ.

ალსანიშნავია, რომ სერგო ბესელიასა და რატი მილორავას საქმე იმითაც გახდა საინტერესო, რომ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ეკა ბესელიამ ჯაფარიძისთვის ჩვენების შეცვლა „კანონიერი ქურდების“ დახმარებით სცადა. ამ ინფორმაციას თავად ეკა ბესელია სიცრუეს უწოდებს და აცხადებს, რომ გიგი უგულავას გაზეთის მხრიდან მსგავსი ინფორმაციები არ უკვირს.

# შაშიაშვილმა ნოღაიდელს ძასოხოვი „აახია“

თეა მარხვაი ე

**იმერეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული აშკარად შარს ეძებს. თემურ შაშიაშვილი ბოლო დროს ისეთ განცხადებებს აკეთებს, ხელისუფლებას ერთ დღესაც უმტყუნებს ნერვები.**



ექს-გუბერნატორი ხელისუფლებას ისედაც საგანგებო კონტროლზე ჰყავს აყვანილი. ამის გამო მას ცოტა ხნის წინ თბილისის აეროპორტში სკანდალიც შეემთხვა. სამართალდამცავებმა მისი ბარგი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს. გავრცელებული ინფორმაციით, იმ დღეს შაშიაშვილს თბილისში კომპრომატებით სავსე კასეტა უნდა ჩამოეტანა. ერთ-ერთი ვერსიით, ამ კომპრომატებში ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზებიც იქნებოდა წარმოდგენილი.

სამართალდამცავებმა შაშიაშვილის ბარგი გულდასმით გაჩხრიკეს, თუმცა იქ სკანდალური კასეტა ვერ იპოვეს. შაშიაშვილმა გაჩხრეკის ფაქტი გააპროტესტა, კომპრომატთან დაკავშირებით კი ორაზროვანი განცხადება გააკეთა.

ამ ხელისუფლებისათვის შაშიაშვილი ბევრი რამის გამოა მიუღებელი. მას დღევანდელი ნაციონალები ჯერ კიდევ იქიდან ვერ იტანდნენ, როცა ყველანი მოქკავშირის შვილები იყვნენ.

ახლა დაპირისპირებისთვის მეტი მიზეზი აქვთ. ამ მიზეზებს ახლა შეიძლება ახალი მიზეზი დაემატოს. ეს შეიძლება ცნობილი ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი გახდეს. ეს უკანასკნელი რამდენიმე წლის წინ სააკაშვილმა ეროვნულ გმირად გამოაცხადა. ეს ეროვნული გმირი გასულ წელს საქართველოს მოღალატედ შერაცხეს.

აგვისტოს ომის დროს გვაუწყეს, რომ ძასოხოვი თავის რაზმთან ერთად ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა. არადა, იმ დროისთვის ძასოხოვი პეკინის ოლიმპიადაზე იმყოფებოდა.

ოლიმპიადიდან ის საქართველოში აღარ დაბრუნებულა. მას ქონებაც ჩამოართვეს და საცხოვრებელი სახლიც დაუყადაღეს. პეკინიდან ის პირდაპირ რუსეთში წავიდა. რაღაც პერიოდი ჩუმად იყო, მერე კი ჩვენებურ ოპოზიციასავით ალაპარაკდა.

მან ის მიზეზებიც დაასახელა, თუ რატომ გახდა ის ხელისუფლებისთვის მიუღებელი. როგორც გაირკვა, მას თავის დროზე შესთავაზეს, დიმიტრი სანაკოევის ადგილი დაეკავებინა, უფრო ზუსტად, სანაკოევი მას შემდეგ გამოჩხრიკეს, რაც ძასოხოვმა ამ პოსტის დაკავებაზე უარი თქვა.

ამის შემდეგ მისი საქმეები უკან-უკან წავიდა, თუმცა, სანამ ნოღაიდელი პრემიერი იყო, კიდევ არა უშავდა რა, ნოღაიდელის წასვლის შემდეგ კი მას ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნა.

ძასოხოვმა მწვავე პოლიტიკური განცხადებები ერთი წლის წინ გააკეთა. მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ ოპოზიციის დამფინანსებელი შესაძლოა ის გამხდარიყო. ამის სურვილი პირადად ძასოხოვმაც გამოთქვა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ღიად განაცხადა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს საქართველოში ხელისუფლების დემოკრატიული შეცვლისათვის. რუსულ გამოცემებს ისიც უთხრა, რომ დროებითი მთავრობაც კი შექმნილი ჰყავდა.

მას ნოღაიდელის პოლიტიკურ პარტნიორად მოიაზრებდნენ. სხვა თუ არაფერი, ერთად ბევრი ფული აქვთ ნაშოვნი. საქმეს ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ ძასოხოვი შესაძლოა თემურ შაშიაშვილის თანამოაზრე გახდეს.

შაშიაშვილი რამდენიმე თვის წინ ძასოხოვის მიერ მოწყობილ ღონისძიებასაც დაესწრო. საუბარია იმ ღონისძიებაზე, რომელიც სოჭში ჩატარდა და ებრალიძემ თავისი სამომავლო ზრახვები გამოავლინა.

ამ დღეებში შაშიაშვილი კიდევ ერთხელ აპირებს ძასოხოვთან შეხვედრას. ეს შეხვედრა ან ცხინვალში შედგება, ანდა ვლადიკავკაზში. ცხინვალში გამგზავრების გადაწყვეტილება შაშიაშვილს ერთი კვირის წინ ჰქონდა მიღებული. ის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართველი მოზარდების გათავისუფლების მიზნით აპირებდა ჩასვლას.

მისი თქმით, ამ საქმეში აქტიურად ჩაერთვნენ გოჩა ძასოხოვი და ცნობილი დირიჟორი ვალერი გერგიევი.

— მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტირძნისელი მოზარდების მდგომარეობის შესახებ ისეთ პიროვნებებთან, როგორებიც არიან მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი ვალერი გერგიევი და მოსკოვში „საქართველოს ხალხთა კავშირის“ ხელმძღვანელი გოჩა ძასოხოვი. როცა პრესკონფერენციას ვმართავ, ამ წუთებში დგინდება ჩემთვის ვიზის გადმოცემის საკითხი. ძალიან მსურს, ჩემი ვიზიტი შაბათამდე განხორციელდეს, რადგანაც სხვა დღეებში ფრენა მხოლოდ მოსკოვის მიმართულებითაა, შაბათს კი სომხეთის გავლით უნდა გავემგზავრო. თუკი მოსკოვის გავლით მოხერხდა ჩემი ცხინვალში ან ვლადიკავკაზში ჩასვლა, ძალიან კარგი იქნება. შეხვედრებს ძასოხოვსა და გერგიევის მიერ მოზარდების გათავისუფლების საკითხში ჩართულ სხვა გავლენიან ოსებთანაც გავმართავ. პირადად ვიცნობ კოკოითს. თუ ის მოისურვებს, მზად ვარ, მასაც შევხვდე, — განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

მისივე თქმით, ცხინვალის მხარე მზადაა, საეტაპოდ ჯერ ორი ახალგაზრდა გაათავისუფლოს, დაელოდოს პროცესს და შემდეგ დარჩენილი ორი მოზარდიც გამოუშვან.

— ცხინვალის მხარე დაელოდება საქართველოს ხელისუფლების რეაქციას, თუ რას ათქმევინებს ბავშვებს, როგორ წარმართავს იდეოლოგიურ კამპანიას. ეჭვი არ მეპარება, რომ ხელისუფლება სათავისოდ გამოიყენებს ამ პროცესს, არადა, ყველაზე მეტად საფიქრალი ამ ახალგაზრდების სიცოცხლე უნდა იყოს და ის ურთიერთობა, რომელიც ქართველ და ოს ხალხს აკავშირებს. ხელისუფლება ამ ისტორიულ გამოცდილებასა და ჩვენს ტრადიციებსაც არად დაგიდევს, — განაცხადა შაშიაშვილმა.

მოზარდების გათავისუფლების შემდეგ ის იმის გარკვევასაც აპირებს, თუ ვინ გაწირა ქართველი ბავშვები — საქართველომ თუ ცხინვალის რეჟიმმა.

გაემგზავრება თუ არა შაშიაშვილი ცხინვალში, ჯერ ძნელი გასარკვევია, ის კი ცნობილია, რომ ზურაბ ნოღაიდელს შაშიაშვილის საქმიანობა არ მოსწონს. გავრცელებული ინფორმაციით, შაშიაშვილმა ნოღაიდელს ძასოხოვი „აახია“. ამ უკანასკნელს ოპოზიციიდან ბევრი იმედის თვალით უყურებდა.

ჩვენს გალატაკებულ ოპოზიციას ძლიერი დამფინანსებელი სჭირდება, ძასოხოვს კი სათანადო თანხები გააჩნია. სხვა ოპოზიციონერებისგან განსხვავებით, ნოღაიდელი უფულობას არ უჩივის. ამის მიუხედავად, ძასოხოვის დაკარგვა არც მას უნდა.

# გაეროს არჩევნები არ უნდა ჩავატარებინოთ!

შორენა გონგლა ე



საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით არჩევნების ჩატარებას პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე არ ეთანხმება. მისი განცხადებით,ეს იქნება ქართული საზოგადოებისთვის დამამცირებელი; მისი აზრით, თუ ოპოზიცია და საზოგადოება იქნება ერთსულოვანი, მობილიზებული, ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას ვერ გაბედავს.

— ოპოზიციის ინიციატივას, არჩევნების გაეროს ეგიდით ჩატარების შესახებ, არ ვეთანხმები. მე მიმაჩნია, რომ გაეროს ეგიდით არჩევნების ჩატარება საქართველოსთვის არის დამამცირებელი, არა იმიტომ, რომ გაერო არ არის პრესტიჟული ორგანიზაცია, არამედ იმიტომ, რომ ეს ნიშნავს უკვე იმას, რომ საქართველოში არ არის დემოკრატიული ინსტიტუტები და ქართველ ხალხს არ შესწევს იმის უნარი, რომ ქვეყანაში ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები. გაეროს ეგიდით ჩატარებული იქნა კამბოჯაში, ალბანეთში და სხვა, ეს არის ის ქვეყნები, სადაც არ არსებობენ დემოკრატიული ინსტიტუტები და არიან ჩამორჩენილი ქვეყნები. ამიტომ მე ვთვლი, რომ ეს არის სამარცხვინო ინიციატივა, სამარცხვინოა პირველ რიგში ქართველი ხალხისთვის. მე მიმაჩნია, რომ მთელმა ოპოზიციურმა სპექტრმა ხელისუფლებაზე უნდა გააძლიეროს ზეწოლა, რათა ხელისუფლება წამოვიდეს უფრო მეტ დათმობაზე და არჩევნები უნდა ჩაატაროს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. მრავლად უნდა იყოს არჩევნებზე წარმოდგენილი საერთაშორისო დამკვირვებლები, ეს არის ნორმალური არჩევნები, თუ ოპოზიციამ არჩევნების დროს კარგად იმუშავა, ჩვენ ნამდვილად შევძლებთ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

***— რატომ თვლით, რომ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არჩევნების ჩატარება არ უნდა დავუშვათ?***

— საერთაშორისო ორგანიზაციები არჩევნებს ატარებენ ისეთ ქვეყანაში, სადაც არის მუდმივი დესტაბილიზაცია, არ არსებობენ დემოკრატიული ინსტიტუტები, მათ შორის სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა, არ ფუნქციონირებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სხვა. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ უკვე ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, ვითარდება დემოკრატიული ინსტიტუტები, საკმაოდ ძლიერია ქვეყანაში არასამთავრობო სექტორი და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია, თუ იქნება ძალთა კონსოლიდაცია, ჩავატაროთ დემოკრატული და სამართლიანი არჩევნები. რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით არჩევნების ჩატარება, საქართველოსთვის იქნება დამამცირებელი, მით უმეტეს, რომ ჩვენ საერთაშორისო არენაზე ისედაც გვაქვს იმიჯი შელახული. მსოფლიო საზოგადოება კიდევ ერთხელ დაინახავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ნორმალური არჩევნების ჩატარება. რუსეთი ყოველთვის ამბობს იმას, რომ საქართველო არის არშემდგარი სახელმწიფო, ეს ყველაფერი კი მათ წისქვილზე კიდევ ერთხელ დაასხამს წყალს და მათ პოზიციებს კიდევ უფრო გაამყარებს. ამაზე მე ვფიქრობ, რომ ყველა ნორმალური ადამიანი უნდა დაფიქრდეს. ამ საკითხში არც ოპოზიციაა ერთსულოვანი. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაზე საჭიროა გარკვეული ზეწოლა, ვინაიდან ამ ხელისუფლებას მიდრეკილება აქვს კანონდარღვევისკენ და ჩვენ არ უნდა მივცეთ არჩევნების გაყალბების საშუალება. თუ იქნება ხალხის ერთსულოვნება, დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება ამას ვერ გაბედავს.

***— ამბობთ, რომ ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ არჩევნების გაყალბების საშუალება, რა ფორმით არ უნდა მივცეთ საშუალება, როგორ ფიქრობთ?***

— მეტი აქტიურობაა საჭირო ოპოზიციური სპექტრის, დამოუკიდებელი ექსპერტების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი ჩართულობა უნდა იქნეს. თითოეულ აღმოჩენილ დარღვევაზე უნდა ატყდეს განგაში და უნდა ვაიძულოთ ხელისულება, არ წავიდეს მასობრივ დარღვევებზე. თუ მობილიზებული შეხვდა ოპოზიური სპექტრი ადგილობრივ არჩევნებს, ხელისუფლება დამერწმუნეთ, ვერ გაბედავს არჩევნების გაყალბებას და იძულებული გახდება, აღიაროს ოპოზიციის გამარჯვება. მთავარია, უფრო მეტი ერთსულოვნება და მობილიზება ქართველი საზოგადოების.

# დუდაევი ელცინს გარიგებას სთავაზობდა

გერა მამულაშვილი



**ამ დღეებში 15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჯოჰარ დუდაევისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ალებმა, ჩეჩნეთის ე.წ. დროებითმა საბჭომ გროზნოზე შტურმი განახორციელა. შტურმს რუსული კონტრდაზვერვის მიერ ფარულად გადაბირებული სამხედრო მოსამსახურეები ახორციელებდნენ. მას შემდეგ, რაც შტურმი ჩაფლავდა, მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა მასში რუსული არმიის მონაწილეობა უარყო. გრაჩოვმა მაშინ წარმოთქვა გახმაურებული ფრაზა, რუსულ არმიას შტურმში მონაწილეობა რომ მიეღო, ამოცანის შესრულებისთვის ერთი საპარაშუტო-სადესანტო პოლკი საკმარისი იქნებოდაო. ორი კვირის შემდეგ, 11 დეკემბერს, ჩეჩნეთის პირველი ომი დაიწყო.**

**იმდროინდელ მოვლენებს რადიო „თავისუფლებასთან“ პრეზიდენტ ელცინის თანაშემწე, ეთნოპოლიტიკური გამოკვლევების ცენტრის გენერალური დირექტორი ემილ პაინი იხსენებს:**

— გასულ წლებში მე ვცდილობდი, რომ ჩეჩნეთის ომის დაწყების დეტალები გამომერკვია და ამაზე ძალზე საპირისპირო ინფორმაციები მივიღე. ვშიშობ, რომ უახლოეს წლებში ამასთან დაკავშირებით ზუსტ მონაცემებს ვერავინ ვერ მიიღებს. გამარჯვებას ძალიან ბევრი მამა ჰყავს, როგორც იცით, ხოლო დამარცხებასთან კავშირი არავის აქვს. მაგრამ ჩადენილის საერთო აზრი მაინც გასაგებია. იმ დროს ელცინმა მოახერხა იმ რეგიონების ერთიან ქვეყანაში შეკრება, რომლებიც თავდაპირველად დაუმორჩილებლობას იჩენდნენ. დსთ-ში დაბრუნდა აზერბაიჯანი და შემოვიდა საქართველო. ანუ თითქოსდა ყველაფერი უკვე გამოდიოდა და მხოლოდ ერთი დაუმორჩილებელი ჩეჩნეთი სიტუაციის საერთო პორტრეტს აფუჭებდა.

***— ყველა დანარჩენ გაუგებრობასთან ერთად, თავისი არსით ასევე საიდუმლოდ დარჩა ის, თუ როგორ ხდებოდა ჩეჩნეთთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება. და ვინ იღებდა ამ გადაწყვეტილებებს? და საერთოდ — რას წარმოადგენდა ელცინი ამ საკითხში? 1994 წელია, ელცინს ჯერ კიდევ ძალა გააჩნია. ის, რა თქმა უნდა, 1993 წლის ოქტომბრით ტრავმირებულია, მაგრამ დემოკრატიული მოლოდინების რესურსი არ ამოწურულა. მაგრამ ამ სიტუაციაში ის ჩეჩნეთში ოპერაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს...***

— პირველ რიგში, უაღრესად მცდარი წარმოდგენაა, რომ ელცინი ვიღაცის რჩევებს უსმენდა. ასეთი სტრატეგიული ხასიათის გადაწყვეტილებებს ის დამოუკიდებლად იღებდა. მას შეეძლო ერთის, მეორის მოსმენა, მაგრამ ჩეჩნეთი — მისი გადაწყვეტილებაა. მე ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა ელცინთან და დროთა განმავლობაში ჩემი დამოკიდებულებმა მისადმი რაღაცაში გაუმჯობესდა კიდევაც. მაგრამ მას არასოდეს დემოკრატად არ ვთვლიდი. მას ჰქონდა რაღაც სხვა ღირსებები, მაგრამ მათ დემოკრატიზმთან დამოკიდებულება არ ჰქონია. ის იყო პოლიტიკოსი, რომელსაც ესმოდა, თუ როგორ შეიძლებოდა საკუთარი შანსების, საკუთარი რეიტინგის მაღლა აწევა. თუკი მოხერხდებოდა ჩეჩნეთის შემოერთება, მისი დაჩოქება, იმის ჩვენება, თუ როგორ არის ლიკვიდირებული სეპარატიზმის ბოლო ნარჩენი, მაშინ ელცინის ეს რეიტინგი, რა თქმა უნდა, ამაღლდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ელცინი ამაში მცირედითაც არ ეჭვობდა. ამიტომაც მე ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ იმაში, რომ მან მაშინ სწორედ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო.

***— მაგრამ რატომ აღმოჩნდა ეს გადაწყვეტილება მაინცდამაინც ძალისმიერი? მაშინ 15 წლის წინ ბევრი დამკვირვებელი თანხმდებოდა, რომ არ ყოფილიყო 26 ნოემბრის შტურმი, ჩეჩნური ოპოზიცია ტანკების გარეშეც გაიმარჯვებდა; უბრალოდ, ამას არჩევნებზე გააკეთებდა, სადამდეც დაახლოებით წელიწადის მოთმენა იყო საჭირო.***

— ასე სრულიადაც არ არის და ჩემთვის სასაცილოც კია მოვისმინო არჩევნების შესახებ, რომლის წაგებაც დუდაევს შეეძლო. ეს განსაკუთრებით დღეს, როდესაც ყველას ესმის, თუ რა არის არჩევნები პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის რუსეთში, მოსკოვში და ა.შ. როგორ შეეძლო დუდაევს არჩევნების წაგება, თუკი მის უკან შეიარაღებული ძალები იდგა? როგორ შეიძლება არჩევნების წაგება იქ, სადაც არანაირი არჩევნები მთლიანობაში არც ყოფილა? ჩეჩნეთის პირველი არჩევნებიც, რომელზეც დუდაევმა გაიმარჯვა, იყო არა არჩევნები, არამედ ანეკდოტი. არჩევნები არაფერს წყვეტდა, ხოლო რეალობა ამგვარი იყო: ჩეჩნეთში იყო ორი ტერიტორია, რომლებიც დუდაევის ხელისუფლებას არ ცნობდნენ და რუსეთს ექვემდებარებოდნენ. კერძოდ, ასეთი იყო ნადტერეჩნი რაიონი. მისი ლიდერები მოსკოვში ჩამოდიოდნენ და საკუთარი თავი ისევე მოჰქონდათ, როგორც ფედერაციის ნებისმიერი სხვა სუბიექტის წარმომადგენლებს. ჩვენ სახეზე გვქონდა არაპროგნოზირებადი ჩეჩნეთი, აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი ლიდერით. ის ელცინს წერილებს წერდა, რომლებშიც შემდეგ წინადადებას სთავაზობდა: რომ თუკი თქვენ ჩეჩნეთში წააგებთ, მაშინ გაგიხსენებენ, რომ თქვენ დაანგრიეთო რუსეთი. მაგრამ თუკი თქვენთან შევთანხმდებით, მაშინ ჩვენ ერთად გავაერთიანებთო რუსეთს — მაგრამ თანაბარი პარტნიორების რანგში. არც ერთს და არც მეორეს ერთმანეთის არ სჯეროდა — ამაში მდგომარეობდა მთავარი პრობლემა. ისე რთულიც იყო, რაღაც ნდობაზე საუბარი.

***— არ იყო იმის შეგრძნება, რომ 1994 წლის ზაფხულში დუდაევი მართლაც მზად იყო რეალური შეთანხმებისთვის და რომ მისი წინადადებები მთლიანობაში არ სცილდებოდა ყაზანის მოთხოვნებს, რომელმაც სწორედ მაშინ მოაწერა მოსკოვთან უფლებამოსილებების გადანაწილების კომპრომისულ შეთანხმებას?***

— არა, დუდაევი საერთოდ არ ჰგავდა შაიმიევს. უფრო მეტიც, ყველა უპირატესობა, რაც ყაზანმა მიიღო, თავიდან ჩეჩნეთისთვის იყო მოფიქრებული — განსაკუთრებული სტატუსი, განსაკუთრებული ფედერაციული შეთანხმება. ყოფილიყო მცირედი იმედი მაინც იმაზე, რომ მცირე სისხლით შეიძლებოდა მშვიდობიანი ჩეჩნეთის მიღება ისევე, როგორც მივიღეთ მშვიდობიანი თათრეთი, მაშინ, რა თქმა უნდა, ამაზე წავიდოდით. მაგრამ თუკი შაიმიევი ყველა თავის შეთანხმებას ასრულებდა, ამ დროს დუდაევი ამის არანაირ მზადყოფნას არ დემონსტრირებდა. ძალიან ბევრი მცდელობა იყო, რომ როგორღაც გარკვეული მოლაპარაკებები გამართულიყო. ამას შახრაიც ცდილობდა, დუდაევთან არმიის წარმომადგენლებსაც აგზავნიდნენ...

***— რამდენადაც გვახსენდება, სწორედ შახრაი პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ, რბილად რომ ვთქვათ, არ ისწრაფვოდა.***

— გარწმუნებთ, რომ იმ დროს ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს „ყაზანური წარმატების“ განმეორება სურდა. არავის არ სჭირდებოდა მტრულად განწყობილი ჩეჩნეთი. რომელიღაც ეკონომიკური სუბიექტები შესაძლოა ამაში დაინტერესებულნი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურ მოთამაშეებს, მათ შორის შახრაისაც სურდა ასეთი შეთანხმება.

***— მაინც რა ანალიზის, გამოვლინებების, ვისი წინადადებების საფუძველზე ხდებოდა 26 მაისის შტურმზე გადაწყვეტილების მიღება?***

— ვფიქრობ, როდესაც ტანკები იგზავნება, მაშინ პირველ რიგში კონსულტაციებს სამხედროებთან გადიან.

***— გრაჩოვი შტურმის მომხრე იყო?***

— ჩემი აზრით, ეს სწორედ გრაჩოვმა განაცხადა, რომ პრობლემას ერთი საპარაშუტო-სადესანტო პოლკით გადაწყვეტდა. თუკი იგზავნება ტანკები, ეჭვგარეშეა, პირველ რიგში, კონსულტაციებს გადიან ადამიანებთან, რომლებსაც ამაში რაღაც ესმით: თუ რამდენი საწვავი სჭირდებათ, როგორი საბრძოლო თადარიგი და ა.შ. მაგრამ ზუსტად რომელ სამხედროებთან ერთად ხდებოდა ამ საკითხების გადაწყვეტა, ამის თქმა ძნელია; მაშინ სამხედრო გადაწყვეტილებების მიღების ბევრი ცენტრი იყო.

***— ყველას სურდა შეთანხმება, მაგრამ უშიშროების საბჭოზე, რომელზეც შეჭრის გადაწყვეტილება მიიღეს, იმ პოლიტიკური მოთამაშეების უმრავლესობამ, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა.***

— თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?

***— ამ საიდუმლო სხდომის სტენოგრამა მაინც ხომ იყო გამოქვეყნებული — აი, ასეთი საოცარი დრო იყო. სხვათა შორის, იქიდან გამომდინარეობდა, რომ სწორედ გრაჩოვი ამ იდეას მონდომებით მხარს არ უჭერდა.***

— იცით რა არის, როდესაც ცნობილია, რომ სტენოგრამები მეორე დღისთვის პრესაში გაჟონავს, ადამიანები ისე არ იქცევიან, როგორც იქცევიან სხვა სიტუაციაში, როდესაც ყურში შეუძლიათ ჩურჩული და რაღაცის თქმა. ამიტომ, მე არ მჯერა ამ სტენოგრამის გარკვეული ფსიქოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე. კიდევ ერთხელ ვამბობ: ამ გადაწყვეტილებებს ვიღაც ითვლიდა, ვიღაცა სახელმწიფოს მეთაურს ურჩევდა, რომ ეს გადაწყვეტილებები მიეღო. მაგრამ ელცინი იმ დროს ზუსტადაც რომ არ იყო მარიონეტი, ამაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ნიშნავს, რომ მას ჰქონდა გარკვეული წარმოდგენები იმაზე, რომ ყველაფრის ერთდროულად მიღება შეიძლებოდა.

# „მრავალეროვანი საქართველო“ ეკლესიის ჩამონგრევაზე რეაგირებას ითხოვს

არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“ მოღნისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გუმბათის ჩამონგრევის ფაქტთან დაკავშირებით კულტურის მინისტრის ნიკა რურუას შემდეგ სპეციალურ მიმართვას სახალხო დამცველსაც უგზავნის.

„მრავალეროვანი საქართველო“ გიორგი ტუღუშს სთხოვს, შეფასება მისცეს ეკლესიის გუმბათის ჩამონდრევის ფაქტს და ორგანიზაციას გაუზიაროს სახალხო დამცველის აპარატის გეგმები საქართველოში სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას მიკუთვნებული ისტორიული ძეგლების დაცვისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობის თაობაზე.

— ორგანიზაცია გამოხატავს წუხილს იმ ფაქტის თაობაზე, რომ მოღნისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია რამდენიმე წელია, ავარიულ მდგომარეობაშია და შესაბამისად, შეწყვეტილი აქვს ფუნქციონირება, თუმცა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არ იქნა მიღებული ქმედითი ზომები ეკლესიის რესტავრაციისა და მისი ქმედითუნარიანობის უზრუნველსაყოფად, — აღნიშნულია მიმართვაში.

**პირველი**

# აფხაზები ეკვადორსა და ვენესუელაში გაემგზავრნენ

გუშინ სოხუმის მარიონეტული რეჟიმის დელეგაცია ეკვადორში გაემგზავრა.დელეგაციის შემადგენლობაში არიან ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მაქსიმ ღვინჯილია და ე.წ. პროტოკოლის სამსახურის უფროსი ასიდა ინაპშპა.

აფხაზური წყაროების ცნობით, ღვინჯილია და ინაპშპა ეკვადორის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ორგანიზაცია “ალბას“ წარმომადგენლებს შეხვდებიან.

შემდეგ, აფხაზები ეკვადორიდან ვენესუელაში გაემგზავრებიან და ადგილობრივი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელს აფხაზეთში 12 დეკემბერს დაგეგმილი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში დამკვირვებლად მიიწვევენ.

**მედიანიუსი**





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# ნიკოლოზ ბარათაშვილის პრემიით ახალგაზრდა პოეტებს დააჯილდოებენ

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს მწერალთა კავშირისა და თბილისის მერიის ორგანიზებით, ახალგაზრდა პოეტებისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის კონკურსი გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობის უფლება, მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, 17-30 წლამდე ასაკის პოეტებს მიეცათ, კონკურსში მონაწილეობის მსურველებს კი მწერალთა კავშირში ავტობიოგრაფიასთან ერთად 10 ლექსი უნდა წარედგინათ.

სპეციალური ჟიურის მიერ შერჩეული კონკურსანტების დაჯილდოების ცერმონიალი 4 დეკემბერს რომანტიკოსი მწერლის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების დღეზე მისსავე სახლ-მუზეუმში საზეიმო ვითარებაში გაიმართება. კონკურსში გამარჯვებულს ნიკოლოზ ბარათაშვილის პრემია გადაეცემა. გამოვლინდებიან ასევე პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებიც. გამარჯვებულებს სოლიდურ ფულად პრემიას თბილისის მერიაც გადასცემს. ფულად პრემიასთან ერთად, მათ განსაკუთრებული პრიზიც ელოდებათ — დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, ისინი რუსთაველის პრემიის ლაურეატებთან ერთად იერუსალმში გაემგზავრებიან.

დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში უკვე გაიხსენეს. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო სასახლის ლიტერატურული სტუდიის ლიტერატურის მოყვარულთა წრის წევრებმა გამართეს.

სასახლის ლექტორიუმში საგანგებო ღონისძიებას მსახიობი დამანა მდივნიშვილი უძღვებოდა. ხელოვანმა დამსწრე საზოგადოების წინაშე პოეტის შემოქმედება და ბიოგრაფია კიდევ ერთხელ გააცოცხლა, შთამბეჭდავად წაიკითხა მისი უკვდავი ლექსები „მერანი“, „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“.

ლიტერატურის მოყვარულთა წრის წევრებმა მაია ნადირაშვილმა, მაია მოსიძემ, გიორგი გაგუამ, ბექა იაშალაშვილმა, ანა შარბანაშვილმა, ანა დვალიძემ შეკითხვებიც დაუსვეს ქალბატონ დამანას პოეტის პორტრეტის შესახებ, იყო თუ არა ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლე მეორის შთამომავალი, ასევე წაიკითხეს გრიგოლ ორბელიანისა და მაიკო ორბელიანისადმი პოეტის მიერ მიძღვნილი წერილები. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგმა ქეთევან არზიანმა აღნიშნა, რომ მსგავს ღონისძიებებს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც მომავალში გადაწყვეტილი აქვთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სიღრმისეულად შესწავლა და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა.

— ჩვენი დიდი სურვილია, ილიაზე ბატონები თამაზ ტყემალაძე ან თამაზ კვაჭანტირაძე ესაუბრონ ბავშვებს, — გვითხრა ქალბატონმა ქეთევან არზიანმა.

***— რა სიხშირით აწყობთ მსგავს ღონისძიებებს?***

— ჩვენ პერსპექტიულ, კალენდარულ გეგმას ვადგენთ. ახლა მოდის ეგნატე ნინოშვილის 150 წლის იუბილე. ამისთვის საგანგებოდ ვემზადებით, ასევე მოდის რევაზ ინანიშვილის საიუბილეო თარიღი. ვცდილობთ, მომავალ თაობას რაც შეიძლება მეტი გავაგებინოთ იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული კვალი დატოვეს.

***— იცნობს მომავალი თაობა ეგნატე ნინოშვილს ან რევაზ ინანიშვილს?***

— სამწუხაროდ, უმეტესობა არ იცნობს. ადრე მათი ნაწარმოებები სკოლებში ისწავლებოდა, ახლა სასკოლო პროგრამა სრულიად შეცვლილია. ჩვენ გვინდა, ეს საიუბილეო თარიღები გამოვიყენოთ და ბავშვებს ის შემოქმედები გავაცნოთ, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩრდილში მოექცნენ. მთავარია, ბავშვებს აქვთ იმის სურვილი, რომ ახალი შეიტყონ ქართულ ლიტერატურაზე.

***— ყველაზე მეტად რომელი შემოქმედის მიმართ ავლენენ ბავშვები ინტერესს?***

— ყველა შემოქმედი თავისებურად საინტერესოა, თუმცა გასულ წელს ახალგაზრდა მწერალი დათო ტურაშვილი მოვიწვიეთ და ეს ღონისძიება ბავშვებს დღემდე ყველაზე კარგად ახსოვთ.

# სააკაშვილმა სასამართლო დაიმონა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ადვოკატებს აღარ აქვთ იმის საშუალება, რომ დაამტკიცონ, მოწმემ თუ ბრალდებულმა ასე კი არ თქვა, პირიქით, სრულიად სხვა პოზიცია დააფიქსირა. თითქმის ყველა სასამართლო პროცესზე ვაყენებ აუდიოჩანაწერის განხორციელების თაობაზე შუამდგომლობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე, მაგრამ მოსამართლეები არ თანხმდებიან აბსურდული არგუმენტით — ეს გამოიწვევს სხდომის გაჭიანურებასო. ამის მიზეზი ის არის, რომ არ დადო მტკიცებულება, თუ როგორ ხდება ჩვენებების გაყალბება. მთავარი ის არის, რომ ამ ხელისუფლებამ მოახერხა სასამართლოს დამონება და ამის დამალვა საზოგადოებისათვის.

***— ზემოთ თქვენ ახსენეთ საარჩევნო გარემო და გაყალბების ტენდენციები. რას ნიშნავს ხელმოწერა, რომელიც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმდა და ის, რომ ვერ მოხერხდა მერის დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობით არჩევის დაკანონება?***

— ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ეს არის ფსევდოოპოზიცია, იქნება ეს საპარლამენტო ოპოზიცია თუ სხვა. სწორედ ამიტომ შევიდა ეს ხალხი პარლამენტში, რომ თავიანთი სახე აჩვენეს — კეთილდღეობის საფასურად ვართ წამსვლელი ყველაფერზეო. ეს თუნდაც ერთკაციანი პარტიები ამ ყველაფერს ადასტურებს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ამბობს ხელისუფლება თანხმობას 30%-იან ბარიერზე, ადვილი მისახვედრია. როდესაც სამსახურებში იღებენ ან ათავისუფლებენ ადამიანებს, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, იყოს ლოიალური ხელისუფლებისადმი. ეს ადამიანები საჯარო სამსახურში იმ ნიშნით არიან, რომ ხმა უნდა მისცენ არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას. შემთხვევითი არ იყო, რომ მიტინგებში მონაწილე სახეების მიხედვით ხდებოდა სამსახურებიდან გათავისუფლება. ხელისუფლებამ იცის, რომელი საჯარო მოხელის ოჯახის წევრი იყო აქტიური მიტინგებზე. ხელისუფლებამ იცის, რომ ის შეძლებს სწორედ 30%-ის მობილიზებას. ამიტომ იბრძვის ხელისუფლება და ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ მათ უნდათ მერი, რომელსაც დედაქალაქში ეყოლება მოწინააღმდეგე 70%.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ის ენ-დი-აის ფორმატში გამართულ შეხვედრებზე კომპრომისზე წავიდა.***

— რა მნიშვნელობა აქვს კომპრომისზე წასვლას. ამ შემთხვევაში 0 და 30% ერთი და იგივეა. ამიტომაც წავიდნენ ე.წ. კომპრომისზე. მათ თავიანთი ხმების რაოდენობა კარგად აქვთ დათვლილი იგივე კარდაკარ სიარულის პრინციპით. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ოპოზიციისგან გულგატეხილი ადამიანების დიდი ნაწილი არ მივა არჩევნებზე, ეს ყველაფერი დიდ ფორას აძლევს ხელისუფლებას, რომ სასურველი შედეგი დააყენოს. ხელისუფლება თავისი გათვლებით პლუს გაყალბებებით თავისუფლად იგებს არჩევნებს.

***— ოპოზიცია ერთ კანდიდატზე ვერ თანხმდება და ეს არის მათი პრობლემაო. რამდენად სწორია მიხეილ მაჭავარიანის ეს შეფასება?***

— რა თქმა უნდა. ერთ კანდიდატზე ვერ თანხმდება. ოპოზიციაში გარკვეული რაოდენობაა, იქნება ეს საპარლამენტო თუ ზოგ შემთხვევაში არასაპარლამენტოც, ხელისუფლებას ჰყავს ნაყიდი. აქედან გამომდინარე, რეალური ოპოზიცია რომ შეთანხმდეს ერთ კანდიდატზე, ისინი მაინც მოახერხებენ რამდენიმე სხვა ფსევდოკანდიდატის ჩასმას, რათა ხმები გაიყოს ოპოზიციაში.

# „ერისიონი“ რუსეთში არ იცეკვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დათარიღებული. აფიშის მიხედვით, ანსამბლ „სამაიას“ სწორედ ჯემალ ჭკუასელი ხელმძღვანელობს. სწორედ ამ ანსამბლთან თანამშრომლობენ ამჟამად „ქართული ლეგენდის“ უცხოელი პროდიუსერები.

როგორც ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი „ახალ თაობასთან“ საუბარში განმარტავს, ანსამბლი „სამაია“ ნამდვილად ცეკვავს სპექტაკლს სახელწოდებით „ქართული ლეგენდა“, თუმცა რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ სიახლეებში არსად არის მითითებული, რომ რუსეთში კონცერტებით სწორედ ანსამბლი „სამაია“ ჩადის და არა „ერისიონი“.

**ჯემალ ჭკუასელი:**

— ამ ფაქტის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოში ნამდვილი ისტერიკა დაიწყო. თქვენ კარგად იცით, რომ ქართველი ხელოვანები პროტესტის ნიშნად არ ჩადიან რუსეთში და არ მართავენ კონცერტებს. გამონაკლისი არც ანსამბლი „ერისიონია“. იმ ინფორმაციის გაჩენამ კი, რომ 5 და 6 დეკემბერს რუსეთში „ქართული ლეგენდა“ იქნება წარმოდგენილი, ჩვენს საზოგადოებაში ნამდვილი შოკი გამოიწვია. მთელი დღის განმავლობაში მირეკავენ და გაოგნებულები მეკითხებიან, ნუთუ მართლა ვმართავთ კონცერტებს რუსეთში? რა თქმა უნდა, არა.

***— მაშინ, თქვენთან რატომ რეკავენ?***

— იმიტომ, რომ „ქართული ლეგენდა“ ანსამბლ „ერისიონის“ სახელთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენთან ამერიკელი პროდიუსერები მუშაობდნენ, ჩვენმა ანსამბლმა ნამდვილად დადგა შოუ, რომელსაც „ქართული ლეგენდა“ ეწოდებოდა. ჩვენ ამ შოუს ვასრულებდით და ჩვენი უცხოელი პარტნიორები ამაში ფულს გვიხდიდნენ. მოკლედ, პროექტი „ქართული ლეგენდა“ უცხოელების დაფინანსებით შეიქმნა და იგი შეასრულა „ერისიონმა“. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიყავით ამ პროექტის შემქმნელების მიერ დაქირავებული ხალხი — ვცეკვავდით ჩვენ და ისინი გვიხდიდნენ შესრულებაში. ახლა ჩვენ ამ სპექტაკლთან არაფერ შუაში ვართ.

სხვათა შორის, საზღვარგარეთიდანაც დაგვირეკეს და მეკითხებოდნენ, თუ თქვენ გამოდიხართ, კონცერტებს აუცილებლად დავესწრებითო.

***— „ქართული ლეგენდა“ — ეს სახელწოდება რატომ იწვევს მაყურებლის დაბნევასა და შეცდომაში შეყვანას?***

— „ქართული ლეგენდა“ ნამდვილად იმ კაცისაა, ჩვენი ყოფილი პროდიუსერის. სახელი მათია, მაგრამ „ერისიონი“ არაფერ შუაშია. თავის დროზე „ქართული ლეგენდა“ შეიქმნა „ერისიონში“, ამიტომ ხშირად აცხადებენ, რომ „ქართულ ლეგენდას“ „ერისიონი“ ცეკვავს. ეს სიცრუეა. „ქართული ლეგენდა“ სპექტაკლის სახელია.

***— თქვენც ხომ გაქვთ „ქართული ლეგენდა“?***

— დიახ. ჩვენც გვქონდა ამ სახელწოდების შოუ, რომელსაც უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვაკეთებდით. ახლა ახალი, რიგით მეოთხე შოუ გვაქვს, რომელსაც „ქართული საგანძური“ ჰქვია.

***— რა უფლება აქვთ ფრანგებს, „ქართული ლეგენდა“ გამოიყენონ?***

— მათ აქვთ ამის უფლება. სპექტაკლს ჰქვია „ქართული ლეგენდა“, მაგრამ ანსამბლს, რომელიც ამ სპექტაკლს ასრულებს, „სამაია“ ეწოდება. ხშირად მისაუბრია ამ თემაზე და მითქვამს, რომ ფრანგებს აქვთ ამ სახელის გამოყენების უფლება. მას შემდეგ, რაც მათთან კონტრაქტი გავწყვიტეთ, საქართველოში სხვა ანსამბლი აიყვანეს, კერძოდ, „სამაია“ და ახლა მათი მოცეკვავეების საშუალებით დგამენ „ქართულ ლეგენდას“. სამწუხაროდ, მათ გაყალბებული აქვთ „ქართული ლეგენდის“ დადგმის ისტორია. თვითონ სახელი „ქართული ლეგენდა“ კი მათია და გამოყენების უფლება ნამდვილად აქვთ.

***— მათ ხომ შეუძლიათ, „ქართული ლეგენდის“ სახელით ისეთი შოუები დადგან, რომელიც საერთოდ არ არის კავშირში ჩვენს ფოლკლორთან?***

— ნამდვილად. მათ ამ სახელის ქვეშ ჩვენი ფოლკლორის დამახინჯებაც შეუძლიათ. ესენი აყალბებენ „ერისიონის“ ისტორიას. სწორედ მათ აქვთ ნომერი — „ხანჯლურში“ წელს ზემოთ შიშველი ბიჭები რომ ცეკვავენ. კი მოვითხოვე, ამოეღოთ შოუდან ეს ჩვენი ეროვნული საგანძურის დამამცირებელი ნომერი, მაგრამ უფლება არ მაქვს, მათ რამე ავუკრძალო. ისინი ადვოკატების თანხლებით იყვნენ ჩამოსული საქართველოში და ჩვენი შეშინება უნდოდათ. ისინი ტყუილში მყავს გამოჭერილი. ფაქსი მაქვს შენახული, სადაც ჩემი სახელი და გვარი ეწერა, როგორც „სამაიას“ ხელმძღვანელისა.

***— თქვენ „ქართულ ლეგენდას“ აღარ ცეკვავთ?***

— არა. ჩვენ უკვე ორი წელია მათთან ურთიერთობა გავწყვიტეთ და ეს შოუ ჩვენი პროგრამიდან საერთოდ ამოღებულია. „ერისიონმა“ გააკეთა რიგით მეოთხე პროექტი, „ქართული საგანძური“, რომელიც წარვუდგინეთ კიდეც ქართველ მაყურებელს. ისინი, იცით, რას აკეთებენ? მიაწერენ „ქართულ ლეგენდას“ „სამაიას“. ეს ტყუილია. „ქართული ლეგენდა“ შეიქმნა „ერისიონში“. „ქართულ ლეგენდას“ ჩვენი შესრულებით ოქროს დისკიც აქვს მინიჭებული. ალბათ, მათ უნდათ, შეცდომაში შეიყვანონ მაყურებელი. ამიტომაც რეკავენ ჩვენთან, ჰგონიათ, რომ ჩვენ გამოვდივართ და მიხდება ახსნა-განმარტებების მიცემა.

***— თქვენ არ გაქვთ გასტროლები დაგეგმილი?***

— ახლა მთელ მსოფლიოში ძალიან არასტაბილური სიტუაციაა, თან ღორის გრიპია მოდებული. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებები კი მიმდინარეობს, მაგრამ ზუსტი თარიღები ჯერ არ არის დადგენილი, ამიტომ წინასწარ ლაპარაკი ნამდვილად ნაადრევია. ჩვენ გვქონდა გასტროლები უკრაინაში, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

***— რუსეთი რეალურად გეპატიჟებათ?***

— კი, რამდენჯერმე გვქონდა რუსეთის მხრიდან შეთავაზება, მაგრამ უარი ვუთხარით, კერძოდ, მოსკოვი გვიწვევდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რუსი ხალხი და მაყურებელი არაფერ შუაშია, მოსკოვში ჩასვლა ჩვენთვის მიუღებელია.

# არჩევნები მალე იქნება

პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი უახლოეს მომავალში საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას არ გამორიცხავს.

როგორც ზურაბიშვილმა პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლებას წინასაარჩევნო კამპანია აქვს დაწყებული და არ არის გამორიცხული, რომ ის არა ადგილობრივი თვითმმართველობის, არამედ საპარლამენტო, ან საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდეს.

— თუ დავაკვირდებით, რას აკეთებს ხელისუფლება და რა დღეშია სააკაშვილი, არ არის გამორიცხული, საპარლამენტო, ან თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს, — განაცხადა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ყველაფრისთვის უნდა იყოს მზად.

**პირველი**

# „ქართული აკადემია“ ილია ჭავჭავაძის ძეგლისთვის ადგილის შეცვლის წინააღმდეგია

„ქართული აკადემია“ ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ძეგლისთვის ადგილის შეცვლის წინააღმდეგია.

— ხელისუფლებამ ილია ჭავჭავაძის ძეგლზე იერიში უკვე აშკარად მიიტანა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ილიას სახელისა და ნაღვაწის შეურაცხყოფა. როგორც ჩანს, ახალი დროის ჩინოვნიკებს ილიას სახელი მისი ამჟამინდელი ადგილისთვის ეპატარავათ და ჩვეულ მანიპულაციებს მიმართეს. ისინი ძეგლის აღებისა და მისი თეატრის უკან (ასე ვთქვათ, „მოფარებულში“) გადატანის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ, — ნათქვამია „ქართული აკადემიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ქართული აკადემიის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ხელისმომწერთა შორის საქართველოს სახალხო არტისტები და აჭარის დამსახურებული მოღვაწეები არიან. საქმის ორგანიზატორი კი ცნობილი პოეტის ფრიდონ ხალვაშის ვაჟი, თეატრის მმართველი ზაზა ხალვაშია, რომელმაც ძეგლის გადატანის მომხრეთა შორის ჟურნალისტებს საკუთარი მამაც დაუსახელა, თუმცა ფრიდონ ხალვაშმა ეს ინფორმაცია საჯაროდ უარყო.

— ნაცვლად იმისა, რომ ბათუმელმა თეატრალებმა თეატრის წინ მდგარი ილიას ძეგლით იამაყონ და მისი გადატანის მოსურნეთა წინააღმდეგ ხმა აიმაღლონ, ძეგლის გადატანის ინიციატორებად თვითონ გამოდიან. ჩვენთვის მოულოდნელი და გაუგებარია მათი ამგვარი საქციელი, — აცხადებს „ქართული აკადემია“ და კოლეგებს მოუწოდებს, საზოგადოებას გულწრფელად განუმარტონ, რა მოტივაციით მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება.

**პირველი**


## განცხადებები

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● გამოცდილი ექიმი ვმკურნალობ მამაკაცურ დაავადებებს: იმპოტენცია და პროსტატა. კონსულტაციისთვის დარეკეთ: 899-53-68-18; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

# თასის სენსაციური გაგრძელება



საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები 2 დღედ გაიყო. გუშინ მხოლოდ ორი ნახევარფინალისტი გამოვლინდა და შესაძლოა, ითქვას, სენსაციური შედეგებიც დაფიქსირდა.

**„ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონი“ 4:0 (დამატებით დროში) (პირველი მატჩი 0:3)**

1:0 ბეჟვაია (6), 2:0 ლიპარტია (52), 3:0 ჯაფარიძე (61), 4:0 კვარაცხელია (117)

**„ვიტ ჯორჯია“:** ბედიაშვილი, მგელაძე, ხურცილავა, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (მელქაძე 99), ბეჟვაია (ზაქრაძე 77), ვასაძე, ლიპარტია (ადამაძე 118), კვარაცხელია

**„ზესტაფონი“:** მამალაძე, ლობჟანიძე, გ.ონიანი, ბენაშვილი (ნ.კვასხვაძე 116), მაკარიანი (ელიავა 64), დაუშვილი, ძარია, აფციაური, გრიგალაშვილი, კორღალიაძე (წინამძღვრიშვილი 67), დვალი

ვერავინ წარმოიდგენდა თუ გიორგი გეგუჩაძის შეგირდები 3-ბურთიან ჰანდიკაპს გაანიავებდნენ. მით უფრო, რომ მასპინძლებს 3 ძირითადი ფეხბურთელი — ალექსანდრე კვახაძე, ლუკა რაზმაძე და გიორგი კახელიშვილი აკლდათ, მაგრამ ვეტერინარებმა საფეხბურთო სასწაული მოახდინეს და დამატებით დროში გადაიყვანეს თამაში, სადაც კიდევ ერთი მიამატეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

მასპინძლებს იმედი მაშინ მიეცათ, როდესაც მატჩის დასაწისშივე გიგა ბეჟვაიამ ანგარიში გახსნა. წინ ბლომად დრო იყო და ახლა უკვე 2 ბურთის გატანა სჭირდებოდა „ვიტ ჯორჯიას“. ამის მიუხედავად, სპეციალისტები ფავორიტად მაინც იმერლებს მიიჩნევდნენ, მაგრამ მათი პროგნოზები მეორე ტაიმის დაწყებიდან 15 წუთში თავდაყირა დადგა. ჯერ ჯაბა ლიპარტიამ, ხოლო შემდეგ ლაშა ჯაფარიძემ თავიანთ გუნდს პროგრამა მინიმუმი შეუსრულეს და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრეს.

დამატებითი 30-წუთეულის მიწურულს კი ვახტანგ კვარაცხელიამ ნახევარფინალში გამსვლელი გოლი გაიტანა და „ზესტაფონს“ არც დრო დაუტოვა და არც იმედი საქართველოს თასის მოსაპოვებლად ებრძოლა.

**„კოლხეთი“ — „მერანი“ 1:1 (პირველი მატჩი 0:0)**

0:1 გიორგობიანი (39), 1:1 გვალია (49)

საინტერესო გამოდგა მეორე მატჩიც, სადაც ფოთის „კოლხეთი“ მარტვილის „მერანს“ მასპინძლობდა. ამ წყვილიდან გამომდინარე წინასწარ იყო ცნობილი, რომ ნახევარფინალში აუცილებლად გავიდოდა პირველ ლიგაში მონაწილე გუნდი. პირველი მატჩიდან გამომდინარე, მცირე უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, რადგან მარტვილში უგოლო ფრე ითამაშეს, ამასთან პირველი ლიგის გათამაშებაშიც უკეთესად ირჯებიან და უმაღლესში აღზევების მთავარი კანდიდატები არიან. თუმცა, სათასო მატჩებს უყვარს სენსაციები და ასე მოხდა ფოთშიც.

მარტვილელები პირველ ტაიმში გიორგობიანის გატანილი გოლით დაწინაურდნენ. ამის მიუხედავად, ფოთელებს შეეძლოთ საქმე სათავისოდ შემოებრუნებინათ. გვალიამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაათანაბრა ანაგარიში. ფოთელები ამის შემდეგაც ფლობდნენ ინიციატივას და მატჩის 85-ე წუთზე ნახევარფინალში გასვლაც შეეძლოთ, მაგრამ ციკოლიამ ვერ გამოიყენა პენალტი და პირველად ისტორიაში მარტვილულმა გუნდმა საქართველოს თასის ნახევარფინალში გააღწია.

დღეს კიდევ 2 მეოთხედფინალური მატჩი გაიმართება — თბილისის „დინამო“ საჩხერის „ჩიხურას“ უმასპინძლებს, ხოლო ცხინვალის „სპარტაკი“ გორში დაუხვდება ზუგდიდის „ბაიას“. ორივე წყვილის პირველი მატჩები ერთნაირი ანგარიშით — 1:1 დასრულდა.

# კარლო ანჩელოტი: „ჩელსისთან კონტრაქტი პრემიერლიგის მოსაგებად გავაფორმე“

**გასულ კვირას მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება „ელკლასიკოსკენ“ იყო მიმართული, მაგრამ არანაკლებ საინტერესო მატჩი გაიმართა ინგლისის პრემიერლიგაში, სადაც ლონდონის „არსენალი“ თანაქალაქელ „ჩელსის“ მასპინ ლობდა. ის, რაც „მილანში“ მუშაობისას ვერ მოახერხა კარლო ანჩელოტიმ, „ჩელსის“ მწვრთნელობისას მოახერხა. „არისტოკრატებმა“ მორიგი შედევრი აჩუქეს გულშემატკივრებს და კარლიტოს გუნდმა 3:0 დაამარცხა მეტოქე. ამ გამარჯვებით „ჩელსის“ ყველა ტურნირზე უკვე 8 წაუგებელი მატჩი მოუგროვდა და პრემიერლიგასაც სოლიდურად ლიდერობს.**

**გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა თავად ანჩელოტი.**



*— როგორ შეფასებას მისცემდით „არსენალთან“ ჩატარებულ მატჩს?*

— „ემირატ სტედიუმზე“ 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ შეიძლება კაცი უკმაყოფილო დარჩეს? თამამად ვიტყვი, რომ ჩემმა გუნდმა დაცვაში ფანტასტიკურად ითამაშა, მაგრამ კარგად მარტო უკანა ხაზს არ უთამაშია — მთელი გუნდი შესანიშნავად მოქმედებდა. თითოეულმა მათგანმა დასახული სათამაშო სქემა ბოლომდე შეასრულა და გუნდური თამაშის პრინციპისთვის არ უღალატია. მცველებმა კი ყველაზე უკეთ შეასრულეს დავალება და თავიანთი ფუნქციების გარდა, კარგად ეხმარებოდნენ ნახევარმცველებსაც. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ გუნდმა დიდი ანგარიშით მოიგო. მართალია, პირველ ტაიმში „არსენალი“ შედარებით მეტად აკონტროლებდა ბურთს, მაგრამ გამწვავების საშუალებას არ ვაძლევდით. საპირისპიროდ, მწვავე კონტრშეტევებს ვახორციელებდით და შესვენებაზე ორბურთიანი ჰანდიკაპით გავედით. ვფიქრობ, ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

*— თქვენ დაცვის კარგი თამაში გამოარჩიეთ, საერთო აღიარებით კი მოედანზე საუკეთესო დიდიე დროგბა იყო.*

— პრინციპულ შეხვედრაში დიდიემ 2 ბურთი გაიტანა და ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩვენი გუნდის მესამე ბურთი დროგბამ საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ამ ეპიზოდში ყველა „არსენალის“ მეკარე დაადანაშაულა და არასწორი პოზიციის შერჩევაში დადეს ბრალი, მაგრამ თუ დააკვირდებით, დროგბამ მოჭრილი დარტყმით ძელის სიახლოვეს გაგზავნა ბურთი. რაც შეეხება პირველ გოლს, აფრიკელმა ეშლი კოულის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. ამ ეპიზოდში დროგბამ არამარტო ოსტატობა, არამედ მაღალი კლასის ფორვარდისადმი დამახასიათებელი თავდაჯერებულობა გამოავლინა. როდესაც პირველ კითხვას ვპასუხობდი, საგანგებოდ აღვნიშნე დაცვით ოპერაციებში შემტევი ფეხბურთელების მონაწილეობა. ამიტომ „შავი სამუშაოდან“ განთავისუფლებული არც დროგბა გვყოლია. მისმა თამაშმა გუნდს უფრო მეტი კლასი შესძინა. როდესაც შემტევი ფეხბურთელი ბურთს დაკარგავს და უკან დაბრუნებაზე არ იფიქრებს, მაშინ მცველებს გაცილებით გაუჭირდებათ თავდაცვა და სახიფათო მომენტებს ვერ განმუხტავენ.

*— „ჩელსის“ ფეხბურთელები ფიზიკური კონდიციებით ჟოზე მოურინიოს მწვრთნელობისასაც გამოირჩეოდნენ, მაგრამ ახლა ყველა ღიად აცხადებს, რომ ანჩელოტის ხელში „ჩელსის“ ფეხბურთელებმა ამ კომპონენტში კიდევ უფრო მოუმატეს.*

— შესაძლოა, ასეც არის, მაგრამ „ჩელსი“ არასდროს გააკეთებს აქცენტს ფიზიკურ სიმძლავრეზე. თანამედროვე ფეხბურთში ფუნქციონალური მზადყოფნა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია და ბევრ რამეს წყვეტს, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო ინტელექტით შევცდებით მეტოქე გუნდის დამარცხებას. სწორედ ასე მოვიგეთ თამაში „არსენალთან“. არსენ ვენგერის გუნდი თამაშის მსვლელობისას აქცენტს თავის ნახევარმცველებზე აკეთებს, ჩვენ კი უყურადღებოდ არც ცენტრში გავრჯილვართ და ორივე საჯარიმოში ვაჯობეთ მეტოქეს.

*— არსენ ვენგერმა ნამატჩევს განაცხადა, რომ მათ მიერ მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილი გოლი უსამართლოდ გააუქმეს. ფრანგი მწვრთნელი ირწმუნება, რომ იმ გოლის ჩათვლის შემთხვევაში ანგარიში მინიმუმამდე მცირდებოდა და მისი გუნდი შემდეგ გათანაბრებასაც მოახერხებდა.*

— არც მსაჯის მოქმედების და არც მეტოქე გუნდის მწვრთნელების სიტყვების კომენტირება ჩემი საქმე არ არის.

*— პრემიერლიგაში უკვე 14 ტური მიიწურა, „ჩელსი“ კი დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატს. მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერს“ 5 ქულით ვუსწრებთ, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილებზე მყოფ „ტოტენჰემსა“ და „არსენალს“ შესაბამისად 10 და 11. სპეციალისტები „ჩელსის“ უკვე ჩემპიონობის“ უმთავრეს პრეტენდენტად მიიჩნევენ, თქვენ რას იტყოდით ამის თაობაზე?*

— გუნდი პირველობისთვის იბრძვის და ძალიან კარგია, რომ ამ ეტაპზე ლიდერები ვართ. თუმცა, სულაც არ ვაპირებთ მეტოქე გუნდებთან დისტანციით ტკბობას, თორემ შესაძლოა, ეს უპირატესობა შემოგვეფლანგოს. ყოველი მატჩის წინ ფეხბურთელებს მაქსიმალურ კონცენტრაციას ვთხოვ და ასე იქნება სეზონის ბოლომდე. იმედი მაქვს, პირველ ადგილზე 38-ე ტურის შემდეგაც ვიქნებით. საამისოდ კი ყველა მატჩი ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც „არსენალთან“.

*— სეზონის დასაწყისშიც ჩემპიონობას გეგმავდით?*

— საკუთარი შესაძლებლობების მაშინაც გვჯერა, ხოლო ახლა თვითრწმენა მოგვემატა. „ჩელსისთან“ კონტრაქტი იმიტომ გავაფორმე, რომ პრემიერლიგის ჩემპიონობა მინდოდა.

*— პრემიერლიგის ჩემპიონობაზე არანაკლებ პრესტიჟული ინგლისის ასოციაციის თასია. იანვრის დასაწყისში ამ ტურნირზე „უოტფორდთან“ გიწევთ თამაში. არა გვგონია კენჭისყრის შედეგებით უკმაყოფილო იყოთ.*

— „უოტფორდს“ პრაქტიკულად არ ვიცნობ და მისი თამაშები არ მინახავს. ამიტომ შევეცდები უმოკლეს დროში მასზე მაქსიმალურად საკმარისი და საჭირო ინფორმაციები მოვიპოვო. ერთადერთი, ვისაც ვიცნობ, „უოტფორდის“ მეპატრონე ელტონ ჯონია. მას ძალიან დიდ პატივს ვცემ როგორც მუსიკოსს და იმედი მაქვს, ჩვენი გუნდების შეხვედრისას პირადად გავესაუბრები.



# სერენა მკაცრად დასაჯეს

ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი სპორტის ამ სახეობისთვის სარეკორდო თანხით — 82.500 დოლარით დააჯარიმა ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციამ. ამის მიზეზი ამერიკის ღია პირველობაზე გვერდით მსაჯზე მუქარა იყო. განაჩენის თაობაზე განცხადება დიდი შლემის ტურნირების ორგანიზატორმა ბილ ბებკოკმა გააკეთა.

ფულად ჯარიმასთან ერთად სერენას მკაცრი გაფრთხილებაც მიეცა — თუ მსგავსი ფაქტი კიდევ 2 წლის განმავლობაში განმეორდება, ჩოგბურთელი მონაწილეობას ვერ მიიღებს ამერიკის ღია პირველობაზე, ხოლო ფულადი ჯარიმა 175.000 დოლარამდე გაიზრდება.

უილიამსის ჯარიმამდე ყველაზე სოლიდური ფულადი ჯარიმა 1990 წელს ამერიკელმა ჯეფ ტარანგომ გადაიხადა — 48.000 დოლარი.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლეკპული-პრესტონი | 1:1 |

**იტალია სერია ბ**

| | |
|---|---|
| მანტოვა-ჩიტადელა | 1:3 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კაიზერი-არმინია | 1:0 |

**საფრანგეთი. II ლიგა**

| | |
|---|---|
| კანი-ლე ავრი | 2:0 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაგა-ლეირია | 2:0 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდორნი-დენ ბოსხი | 2:0 |
| ვეენდამი-ემენი | 3:0 |
| ვოლენდამი-გრააფსხაპი | 0:1 |
| იგლზი-ჰელმონდი | 3:2 |
| კამბური-ტელსტარი | 1:1 |
| ოსი-ომნივორდი | 2:2 |
| ეინდჰოვენი-როზენდალი | 1:3 |
| სიტარდი-მაასტრიხტი | 2:0 |
| ჰაარლემი-ზვოლე | 1:2 |
| ექსელსიორი-დორდრეხტი | 4:0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბანიკი-სიგმა | 2:0 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| ოდენსე-კიოგე | 1:0 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ლანუსი | 2:5 |
| კოლონი-ოლდ ბოიზი | 0:1 |
| ხიმნასია(ლპ)-არგენტინოსი | 1:2 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| მილუოკი-ჩიკაგო | 99:97 |
| დალასი-ფილადელფია | 104:102 |
| იუტა-მემფისი | 120:93 |
| გოლდენ სტეიტი-ინდიანა | 126:107 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-ფლორიდა | 4:3 |
| კაროლინა-ვაშინგტონი | 2:3 |
| კოლამბუსი-სენტ ლუისი | 5:2 |
| რეინჯერსი-პიტსბურგი | 2:5 |
| ტორონტო-ბუფალო | 0:3 |
| ფეტროიტი-დალასი | 4:1 |
| ტამპა ბეი-კოლორადო | 0:3 |
| ნეშვილი-კალგარი | 0:5 |

# ლეო მესი ოქროს ბურთის მფლობელია

„ბარსელონასა“ და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი ლეო მესი ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა. თავად ფეხბურთელი ამ საპატიო ჯილდოს რომ მიიღებდა, კი ფიქრობდა, მაგრამ არ ელოდა, თუ ამხელა უპირატესობით გაიმარჯვებდა.

მესიმ 480 შესაძლებელი ხმიდან 473 დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ კრიშტიანუ რონალდუს რეკორდული სხვაობით — 240 ხმით გაასწრო. პორტუგალიელმა 233 ხმა დააგროვა, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა მესის თანაგუნდელმა და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა ხავიმ — 170.

— სიმართლე გითხრათ ფავორიტი რომ ვიყავი, ვიცოდი, რადგან „ბარსელონამ“ შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. თუმცა, ვერ ვიფიქრებდი, თუ ამხელა უპირატესობით მოვიგებდი. „ოქროს ბურთის“ მოგება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყველა, ვისაც ეს პრესტიჟული ჯილდო მოუგია, უდიდესი ფეხბურთელები იყვნენ და ჩემთვის მისი მოპოვება უდიდესი პატივია, — განაცხადა მესიმ.

მესი მეექვსე ბარსელონელი და პირველი არგენტინელია, ვისაც ეს პრესტიჟული ჯილდო ერგო. არგენტინელი ფეხბურთელი 9 გატანილი ბურთით გასული ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში გატანილია გოლია.

საერთოდ, „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა პირველ ხუთეულში 3 ადგილი მიიღეს — ანდრეს ინიესტა მეოთხე ადგილზე გავიდა, ხოლო ამჟამად უკვე „ინტერის“ ფეხბურთელი სამუელ ეტოო — მეხუთეზე, მაგრამ მთელი მისი დამსახურება გასულ სეზონში „ბარსელონას“ ეკუთვნის.

„ბლაუგრანის“ შარშანდელ ტრიუმფალურ სეზონში (მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ესპანეთის ჩემპიონატი და თასი), მესიმ ჯამში 51 მატჩი ითამაშა და მეტოქეთა კარში 38-ჯერ ზუსტად გაგზავნა ბურთი. ეს ყველაფერი მან თავისი მაღალი სიჩქარით, შესანიშნავი დრიბლინგით და მარცხენა ფეხით მძლავრი დარტყმებით მოახერხა.

არგენტინელმა იღბლიანად დაიწყო მიმდინარე სეზონიც და უკვე 9 ბურთი აქვს გატანილი. თუმცა, როგორც თავად აცხადებს, ზედიზედ მეორედ მისი მოპოვება უფრო რთული იქნება.

— შარშანდელი იღბლიანი სეზონის შემდეგ, ზედიზედ მეორედ მაღალი კლასის დამტკიცება უფრო რთული იქნება. იმედი მაქვს, წელსაც გავიმეორებთ შარშანდელ წარმატებას, რაც დამეხმარება ზედიზედ მეორედ მოვიპოვო „ოქროს ბურთი“, მაგრამ წინასწარ ვგრძნობ, რომ ძალიან რთული იქნება, — აღნიშნა ფეხბურთელმა.

საუკეთესო ათეული კი ასეთია: 1. ლეო მესი (473), 2. კრიშტიანუ რონალდუ (233), 3. ხავი(170), 4. ინიესტა (149), 5. ეტოო (75), 6. კაკა (58), 7. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (50), 8. უეინ რუნი (35), 9. დიდიე დროგბა (33), 10. სტივენ ჯერარდი (32).

# ადრიანო და კარლოსი კონტინენტებს ცვლიან

ორმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ადრიანომ და რობერტო კარლოსმა შესაძლოა, კონტინენტები და კლუბები გამოიცვალონ.

სკანდალურად ცნობილი „სან პაულუს“ თავდამსხმელი, არ არის გამორიცხული, ისევ იტალიას დაუბრუნდეს, საიდანაც „ინტერმა“ აუკრა გუდა-ნაბადი. ბრაზილიელი ფეხბურთელით დედაქალაქური „რომაა“ დაინტერესებული და მისი 18-თვიანი იჯარით აყვანა სურს.

— ჩვენ ვეძებთ ბომბარდირს, რომელიც თავდასხმის წინა ხაზზე ითამაშებს, მაგრამ ჯერ კანდიდატურები ხელმძღვანელობასთან არ შეგვითანხმებია. ერთ-ერთი მათგანი ადრიანოა, — განაცხადა „რომას“ მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

სამაგიეროდ, ბრაზილიაში დაბრუნეას აპირებს „ფენერბახჩეს“ მცველი რობერტო კარლოსი, რომელმაც იქაურ „კორინთიანს“ შეტანხმება მისცა, რომ იანვრისთვის გადავა.

— რობერტო კარლოსის გადმოსვლა თითქმის გადაწყვეტილია, მართალია კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ჩემთვის მისი სიტყვაც საკმარისია. ახლა თავად უნდა გაარკვიოს დეტალები თურქულ კლუბთან, ხოლო იანვარში კი ჩვენ შემოგვიერთდება, — აღნიშნა „კორინთიანსის“ მთავარმა მწვრთნელმა მანუ მენეზესმა.

## დღის კალენდარი
**2 დეკემბრისთვის**



წლის 336-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 29 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

26-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.

ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა, საკვირველთმოქმედისა (875). წმიდა წინასწარმეტყველ აბდიასი (IX ს. ქრისტეს შობამდე); მოწამე ვარლაამისა (დაახლ. 304); ღირსთა: ბალავარისა და იოდასაფისა - ინდოეთის მეფის ძისა და მამისა

მისისა აბენიერ მეფისა (IV); მოწამე აზასი და მის თანა 150 მხედრისა (III); მოწამე ილიოდორესი (273).

**დაიბადნენ:**

1859 - ჟორჟ სერა, ფრანგი ფერმწერი, ნეოიმპრესიონიზმის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1891 წელს.

1881 - ირაკლი წერეთელი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), გარდაიცვალა 1959 წელს.

1893 — სერგი მაკალათია, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1974 წელს.

1906 - პიტერ კარლ ჰოლდმარკი, ამერიკელი ინჟინერი, მისი პროექტები დაედო საფუძვლად ფერადი ტელევიზორის პირველ კომერციულ სისტემას, გარდაიცვალა 1977 წელს.

1923 - მარია კალასი, ცნობილი ბერძენ-იტალიელი მომღერალი, გარდაიცვალა 1977 წელს.

1925 - ირინა არხიპოვა, დიდი თეატრის სოლისტი, მომღერალი.

1946 - ჯანი ვერსაჩე, იტალიელი მოდელიერი, მოკლეს 1997 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1814 - დონასიენ ფრანსუა დე სადი, ფრანგი მარკიზი, მწერალი, დაიბადა 1740 წელს.

1859 - ჯონ ბრაუნი, ზანგი მონების გათავისუფლებისათვის მებრძოლი, დაიბადა 1800 წელს.

1918 - ედმონ როსტანი, ფრანგი პოეტი და დრამატურგი, დაიბადა 1868 წელს.

1979 - ვასილ სოლოვიოვ-სედოი, რუსი კომპოზიტორი, დაიბადა 1907 წელს.

1990 - აარონ კოპლენდი, ამერიკელი კომპოზიტორი, დაიბადა 1900 წელს.

**მოვლენები:**

1804 - ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორად გამოაცხადეს.

1805 - აუსტერლიცის ბრძოლა. ნაპოლეონმა დაამარცხა რუსეთ-ავსტრიის არმია.

1920 - თურქეთსა და სომხეთს შორის დაიდო ალექსანდროპოლის ხელშეკრულება, რომლითაც სომხეთმა უარი თქვა ტერიტორიებზე თურქეთის სასარგებლოდ.

1942 - ჩიკაგოს მეცნიერთა ჯგუფმა ენრიკო ფერმის და არტურ კომპტონის ხელმძღვანელობით პირველად გახლიჩა ატომი.

1971 - მარსის ზედაპირზე დაჯდა საბჭოთა კოსმოსური ხომალდი "მარს-3".

1988 - ბანგლადეშში ციკლონის შედეგად ათასობით ადამიანი დაიღუპა და ხუთი მილიონი უსახლკაროდ დარჩა.

1990 - დასავლეთ გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი გაერთიანებული გერმანიის კანცლერი გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

მონობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე.

ყირგიზეთი, ლაოსი, არაბთა გაერთიანებული საემიროები - ეროვნული დღე.

*მედიანიუსი*

# ოსვენციმში — მოხალისედ



მილიონობით ადამიანი როდესაც ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკებიდან თავის დაღწევას ცდილობდა, ერთმა ბრიტანელმა სამხედრო ტყვემ განგებ შეაღწია ოსვენციმში, რათა საკუთარი თვალით ენახა იქ გამეფებული საშინელება და შემდეგ მსოფლიოსათვის სიმართლე ეამბნა.

დენის ეივი ნამდვილად უჩვეულო ადამიანია. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ნაცისტებმა ტყვედ ჩაიგდეს და ოსვენციმის მეზობლად მდებარე ბანაკში გაგზავნეს.

ეივი ამჟამად 91 წლისაა და დღემდე არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რას საქმიანობდა ბანაკში. იგი ინგლისში, დერბიშირის საგრაფოში ცხოვრობს და ამბობს, რომ ოსვენციმში გაზის კამერების შესახებ სიმართლის გამოსარკვევად შევიდა.

იგი ერთ ებრაელ პატიმარს დაუახლოვდა და ერთი ღამით ადგილების შეცვლაზე შეუთანხმდა. ოსვენციმის პატიმრისათვის ეს გარიგება ბრიტანულ ბანაკში სურსათის მიღებას და დასვენებას ნიშნავდა, დენისისათვის კი იგი ფაქტების მოგროვების შესაძლებლობა იყო.

ეივის თქმით, ოსვენციმი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო დედამიწაზე. „აუტანელი სუნი იდგა, მთელი ღამე პატიმრების კვნესა ისმოდა, ზოგს ვესაუბრებოდი, მაგრამ ისინი თავიანთი უწინდელი ცხოვრების შესახებ ცოტას ლაპარაკობდნენ, — იხსენებს იგი.

სამ მილიონამდე ადამიანი სხვადასხვა საწარმოში აუტანელ პირობებში მუშაობდა. ასეთი დატვირთვის პირობებში ისინი მხოლოდ ხუთ თვეს იცოცხლებდნენ. ზოგჯერ ოსვენციმში გაცნობილი რომელიმე პატიმრის ამბავს რომ კითხულობდა, პასუხად ეუბნებოდნენ, რომ იგი „ღუმლისაკენ გაემგზავრა".

„ოსვენციმი ბოროტება იყო, ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, ბოროტება იყო," — ამბობს ეივი, რომელიც პატიმრების მიმართ სისასტიკის და ყოველდღიური დახვრეტების მოწმე არაერთხელ გამხდარა.

მას პატიმრების დახმარება სურდა და ეს სურვილი ებრაელი ტუსაღის, ერნსტ ლობეტალის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო გაუძლიერდა. ლობტალმა ეივის გაუმხილა, რომ ინგლისში მას და სიუზანა ჰყავდა, რომელიც იქ ომის წინ ჩავიდა.

თავის ბანაკში დაბრუნების შემდეგ დედისათვის გაგზავნილ წერილში საიდუმლოდ სიუზანას დაშიფრული წერილი გაუგზავნა.

პასუხად სიუზანამ ძმას წერილი, გარდა ამისა, სიგარეტი და შოკოლადი გაუგზავნა. სიგარეტი ოსვენციმში ოქროზე უფრო ძვირი იყო და იმედი ჰქონდა, რომ მისი წყალობით ერნსტს ბანაკში ცხოვრების ტვირთს შეუმსუბუქებდა. ასეც მოხდა.

ლობეტალმა ორი კოლოფი სიგარეტი ფეხსაცმელებისათვის ახალ ლანჩებზე გადაცვალა და ამან 1945 წლის ზამთარში სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ომის შემდეგ შინ დაბრუნებულმა ეივიმ სიუზან ლობეტალი მოძებნა. მათ ეგონათ, რომ ერნსტი საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა, მაგრამ იგი ცოცხალი გადარჩა, ალბათ იმ სიგარეტების წყალობით, რომელიც მას სიუზანამ გაუგზავნა. მოგვიანებით სიუზანამ ეივისთან კავშირი გაწყვიტა და ერნსტის გადარჩენის ამბავი ვერ აცნობა.

ერნსტ ლობეტალი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა, დაოჯახდა და დიდხანს ცხოვრობდა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ თავისი კეთილისმყოფელი ბრიტანელი ჯარისკაცის ნამდვილი სახელი არ იცოდა. მოგონებები მან ფირზე ჩაწერა და ორგანიზაცია „შოა ფაუნდეიშნს" გადასცა, რომელიც ჰოლოკოსტს გადარჩენილი ათასობით ადამიანის მოგონებებს აგროვებდა.

ჩანაწერში ერნსტი ოსვენციმში ბრიტანელ ჯარისკაცთან მეგობრობის შესახებ საუბრობს. რომელსაც იგი უბრალოდ „წითურს" უწოდებს და იხსენებს, რომ ბრიტანელისაგან მან სიგარეტები, შოკოლადი და ინგლისიდან დის წერილი მიიღო.

„როკფელერის საკადრისი საჩუქარი იყო", — განაცხადა მან.

დენის ეივიმ ოსვენციმში ორჯერ შეაღწია და ღამის გასათევადაც დარჩა. მესამედაც აპირებდა, მაგრამ ბენვზე გადაურჩა დაკავებას და განზრახვაზე ხელი აიღო.

ომის შემდეგ ეივის დიდი ხნის განმავლობაში პოსტტრავმატული სტრესი აწუხებდა და მხოლოდ ბოლო დროს შეძლო გადატანილი საშინელებების შესახებ საუბარი.

იგი აღიარებს, რომ მისი მონაყოლის დაჯერება ძალიან ბევრს უჭირდა, ასევე აღიარებს, რომ მეტად დაუფიქრებლად იქცეოდა.

— მაგრამ რა უნდა მექნა, ასეთი ვიყავი, ცეცხლივით წითური თმა და შესაფერისი ტემპერამენტი მქონდა, ვერაფერი შემაჩერებდა, — ამბობს იგი.

## „სინეტექი" ფილმების პრემიერებს გამართავს

*ეკა ირემაშვილი*

კინოკომპანია „სინეტექი" თბილისის კინოფესტივალის ფარგლებში მის მიერ გადაღებული ორი ფილმის პრემიერას გამართავს.

2 დეკემბერს კინოთეატრ „ამირანში" ნაჩვენები იქნება ქართულ-ესპანური ფილმი, „ორი", რომელიც წლევანდელ სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო ნაჩვენები. ფილმის შემქმნელების განცხადებით, ქართულ-ესპანურმა ნამუშევარმა კინოფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

თბილისის კინოფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები ფილმის „ორის" ესპანელი კინემატოგრაფები ჩვენს დედაქალაქში სტუმრად არიან და ფილმის თბილისური პრემიერის შემდეგ შემოქმედებით ჯგუფთან შეხვედრა გაიმართება.

5 დეკემბერს კი კინოთეატრი „ამირანი" უკვე კინოკომპანია „სინეტექის" მიერ დაფუძნებული „ზაფხულის კინოსკოლის" ფარგლებში შექმნილი ფილმის „მშვიდობით, იარაღოს" პრემიერას დაეთმობა.

## თბილისში ბლუზის საღამო გაიმართება

*ეკა ირემაშვილი*

კომპანია „პრომო ინდასტრიზ" ბლუზის მოყვარულებს ნამდვილ დღესასწაულს უწყობს. „მაგთიკლუბში" კომპანიის ორგანიზებით ცოცხალი კონცერტი გაიმართება.

კონცერტში მონაწილე ჯგუფები მსმენელისთვის ლეგენდარული მუსიკოსების კომპოზიციებსა და საკუთარ ბლუზ-კომპოზიციებს შეასრულებენ. „პრომო ინდასტრიზ" პრომოუტერულ-საპროდიუსერო კომპანიას წარმოადგენს, რომლის ძირითადი საქმიანობა მუსიკოსების პროდიუსირება, შოუებისა და ფესტივალების ორგანიზება, საერთაშორისო ფესტივალებსა და ტურებზე მუსიკოსების გაგზავნაა.

კომპანიამ უკვე გამართა გასული საუკუნის 70-იანი წლების საუკეთესო ჯგუფების მიერ შესრულებული უკვდავი ჰიტების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა ქართულმა ჯგუფებმა მიიღეს. უკვდავ ჰიტებამდე კი კომპანიის ხელმძღვანელობამ საზოგადოებას როკ-კონცერტი შესთავაზა, სადაც ლეგენდარული ბრიტანული როკ-ჯგუფის ჰიტების ქოვერები შესრულდა.

ბლუზის ცოცხალი კონცერტი კი კომპანია „პრომო ინდასტრიზის" მიერ 5 დეკემბერს გაიმართება.

## ირანული კულტურის დღეები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

*ეკა ირემაშვილი*

1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ირანის კულტურის დღეები გაიხსნა.

ღონისძიების საზეიმო გახსნას დაესწრნენ ირანის ელჩი საქართველოში მოჯთაფა დამირჩილუ, საქართველოს პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური, ასევე ირანელი პროზაიკოსი მოსთაფა რაჰმანდუ და ირანელი პოეტი ჰოსეინ ფათაჰი.

ირანული კულტურის დღეების ფარგლებში ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ირანული ხელოვნების ამსახველი ფოტოები, ირანული ხელნაკეთი ნივთები და ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ ეროვნული ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის ცენტრისათვის საჩუქრად გადაცემული წიგნები. გამოფენა 4 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ირანელი სტუმრები გამოფენის გახსნის შემდეგ ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ქართული მწერლობისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

## ყინულების დნობამ მსოფლიოს მრავალი ქალაქი შეიძლება დატბოროს



2100 წლისათვის პოლარული ყინულების დნობის გამო მსოფლიო ოკეანის დონემ 1.4 მეტრით შეიძლება მოიმატოს.

ასეთი დასკვნა გამოიტანეს მეცნიერებმა, რომლებიც ანტარქტიკაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესწავლას ცდილობდნენ.

არქტიკული გამოკვლევების სამეცნიერო კომიტეტმა დაასკვნა, რომ ზღვის წყლის გათბობა ანტარქტიკის დასავლეთ ნაწილში ყინულების დნობას აჩქარებს.

ტემპერატურის მატების შედეგად ანტარქტიკული ნახევარკუნძულის რაიონში ფლორისა და ფაუნის ახალი წარმომადგენლები აღწევენ.

მეცნიერების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, რომლის შექმნაშიც სხვადასხვა პროფილის 100-მდე მეცნიერი იღებდა მონაწილეობას, გამოკვლევა „მცოცავი გლობალური კატასტროფის" სურათს გვიხატავს.

მეცნიერების თანახმად, მატულობს როგორც ჰაერის, ასევე ზღვის წყლის ტემპერატურა, მატულობს მისი დონე, ხოლო ამ პროცესზე მზის ზემოქმედება, როგორც ჩანს, მინიმალურია.

კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო კომისიის ორი წლის წინანდელი პროგნოზის თანახმად, XXI საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიო ოკეანის დონე 28-43 სმ-ით უნდა გაზრდილიყო.

ამჯერად კომისია აღიარებს, რომ ეს შეფასება არაზუსტია, ყინულის დინამიკის შეფასება შეუძლებელია, რადგან ჰაერისა და წყლის ტემპერატურის მატების გამო ყინულების დნობა ჩქარდება.

მხოლოდ ანტარქტიკის დასავლეთით ყინულების დნობის დაჩქარების შედეგად გლობალური ოკეანის წყლის დონემ ათობით სანტიმეტრით შეიძლება მოიმატოს.

წყლის დონის მატებას ხელს შეუწყობს აგრეთვე გრენლანდიის მყინვარების, აგრეთვე ჰიმალაებისა და ანდების მყინვარების დნობა.

მსგავსი პროგნოზებით სხვა მეცნიერები გამოდიან. მათი აზრით, საუკუნის მიწურულისათვის ოკეანის დონემ შეიძლება ისე მოიმატოს, რომ მსოფლიოს ზოგიერთი მსხვილი ქალაქი წყალმა დაფაროს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## კროსვორდი



**შვეულად:** 2. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 3. პოლიტიკოსის, სპორტსმენის პოპულარობის მაჩვენებელი; 4. უცხოელთა შესვლა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად; 5. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 6. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 8. ტკბილეული დესერტი; 11. ქიმიური ელემენტი, რომელიც ჯერ მზეზე აღმოაჩინეს, ხოლო შემდეგ დედამიწაზე; 14. დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; 15. კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ფასიანი ქაღალდი; 17. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 19. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 21. თაფლში მოხარშული ხორბალი; 22. მცენარეთა სამყარო.

**თარაზულად:** 1. ქიმიური ელემენტი, თეთრი ფერის რბილი ტუტოვანი ლითონი; 5. პატარა რესტორანი; 7. მხდალი, მშიშარა ადამიანი; 9. აშშ-ს კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. რომაული ლეგიონის რჩეული ქვედანაყოფი; 12. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის გარდაქმნას შაქრად ორგანიზმში; 13. წყლის ზედაპირის ნელი მოძრაობა, რხევა; 16. თურქეთის ძველი სახელწოდება; 17 ყველაზე დიდი ზომის აფრიკული ანტილოპა; 18. ჟირაფისნაირთა ოჯახის ცხოველი; 20. მოკლეღუნლიანი შაშხანა; 22. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 23. ბოსტნეული მცენარე; 24. ღვიძლის დაავადება; 25. ზნეობრივი შინაარსის მოკლე ალეგორიული მოთხრობა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. როგანი; 2. საკი; 3. ზავენტემი; 4. ბამბი; 5. მალხაზი; 8. ნაზუქი; 9. ბურგუნდია; 12. სომონი; 14. მიკოზი; 16. ომარი.

**თარაზულად:** 1. რასმუსენი; 6. მადაფათა. 7. გურნიკი; 9. ბინეხი; 10. საბა; 11. გუდიარი; 13. რამლი; 15. დომინო; 17. კიშლაკი; 18. რონოდა; 19.ზარზმა; 20. ლივადია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. მხედარი; 3. ნუვორიში; 4. აკვალანგი; 5. წალკა; 6. იარუსი; 8. რაუნდი; 11. კეტჩერი; 14. იმპიჩმენტი; 15. ჟანგბადი; 16. კორონაცია; 17. პანედა; 19. ლივადია; 21. პანდა; 22. ლახტი.

**თარაზულად:** 1. ამუნიცია; 5. წავი; 7. ბერდია; 9. ფეტვიაშვილი; 10. რეკრუტი; 12. ესტრადა; 13. ბენზინი; 16. კარავაჯო; 178 პაბი; 18. ალუჩა; 20. ანჩელოტი; 22. ლუარა; 23. კათედრა; 24. ცაცხვი; 25. დიეტა.

# ბარაქ ობამამ ავღანეთში დამატებითი სამხედრო ძალის გაგზავნა გადაწყვიტა



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ საბოლოოდ დაადასტურა ავღანეთში აშშ-ის სამხედრო სტრატეგია და ამის შესახებ მსოფლიოს ლიდერებს აცნობა.

თეთრი სახლის წარმომადგენლის ინფორმაციით, კვირა საღამოს აშშ-ის პრეზიდენტმა ავღანეთში დამატებითი ძალების გაგზავნის საკითხი ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან განიხილა, ორშაბათს კი ამის შესახებ რუსეთის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ლიდერებს აცნობა.

ბარაქ ობამამ უკვე მოაწერა ხელი განკარგულებას ავღანეთში დამატებითი ჯარების გაგზავნის შესახებ. გარდა ამისა, ავღანეთში აშშ-ის კონტინტენგის სარდლობას ახალი განკარგულებები მისცა.

აშშ-ის მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტი ავღანეთში დამატებით 30 ათასი ჯარისკაცის გაგზავნას აპირებს.

თეთრი სახლის პრესმდივნის რობერტ გიბსის თქმით, კვირა საღამოს ბარაქ ობამა სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს შეხვდა, რის შემდეგად თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსს და ეროვნული უშიშროების საკითხების მრჩეველს ჯეიმს ჯოუნსს ესაუბრა.

შემდეგ პრეზიდენტი ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციების სარდალს, გენერალ სტენლი მაკრისტალს და ქაბულში აშშ-ის ელჩს, კარლ ეიკენბერის დაუკავშირდა.

მიმდინარე მომენტისათვის ავღანეთში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების რიცხვი 68 ათასს შეადგენს, საერთაშორისო კოალიციური ძალების პირადი შემადგენლობა კი 100 ათასს აჭარბებს.

ავღანეთში თავისი კონტინგენტის გაზრდას აშშ-ის მთავარი მოკავშირე, დიდი ბრიტანეთიც დათანხმდა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა ორშაბათს განაცხადა, რომ ავღანეთში დამატებით 500 ჯარისკაცის გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი. შედეგად ბრიტანელი სამხედროების რიცხვი ავღანეთში 10 ათასს მიაღწევს.

ბრაუნის თქმით, ბრიტანეთის მოქალაქეების უსაფრთხოება დამოკიდებულა იმაზე, შეძლებს თუ არა ქვეყნის მთავრობა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე „ალ-კაიდას“ სამხედრო მუქარის მოგერიებას.

პარლამენტში გამოსვლის დროს ბრაუნმა განაცხადა, რომ ავღანეთში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნისათვის კიდევ რვა ქვეყანა არის მზად.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ დაადასტურა, რომ რომი ავღანეთში სამხედრო ძალების გაზრდას ასევე ეთანხმება. ამჟამად ავღანეთში 3.2 ათასი იტალიელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

# გაეროს სასამართლო კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კანონიერებას განიხილავს



ჰააგის საერთაშორისო სასამართლო 2007 წელს კოსოვოს პროვინციის დამოუკიდებლობის გამოცხადების კანონიერების საკითხის განხილვას შეუდგა.

გაეროს სასამართლო ამ სახის საკითხს, კერძოდ, ქვეყნის ტერიტორიის გამოყოფის საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობის კანონს პირველად განიხილავს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს 63-მა სახელმწიფომ კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა, სერბია უარს ამბობს და საქმე სასამართლოს გადასცა.

ამ საქმესთან დაკავშირებით ვერდიქტს, რომელიც შესრულებისათვის სავალდებულო არ იქნება, რამდენიმე თვის შემდეგ მოელიან.

საქმის განხილვა ჰააგის სასამართლოში 11 დეკემბრამდე გასტანს.

კოსოვომ სერბიისაგან დამოუკიდებლობა 2008 წლის თებერვალში გამოაცხადა. ეს გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებული არ ყოფილა, რადგან მის წინააღმდეგ რუსეთი და ჩინეთი გამოვიდნენ.

სერბიის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა „ბიბისის“ ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე განხილვა კოსოვოს მოლაპარაკებებში ახალი რაუნდის დაწყებას გამოიწვევს.

მისი თქმით, სერბეთი საკუთარი კანონიერი ეროვნული ინტერესების დასაცავად ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ მას არც პრობლემების შექმნა სურს.

ამგვარად, სერბეთი ომის შემდეგ, რამაც 10 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, კოსოვოსადმი ახალი, მშვიდობიანი მიდგომის დემონსტრირებას ახდენს.

იმავდროულად, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, პრობლემის ნაწილს ისიც წარმოადგენს, რომ კოსოვოს აზრით, სალაპარაკო აქ არაფერია.

სასამართლო სხდომის დაწყების წინ კოსოვოს პრეზიდენტმა ფატმირ სეიდიუმ ესოშიეიტედ პრესთან განაცხადა, რომ კოსოვოს მტკიცე არგუმენტები გააჩნია.

მიმომხილველების თქმით, ჰააგის სასამართლო პროცესი ანალოგიური პრობლემების მქონე ქვეყნების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს.

ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე სადავო სტატუსი გააჩნიათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რომლებმაც საქართველოსგან დამოუკიდებლობა ცხალმხრივ გამოაცხადეს, გარდა ამისა, დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკას, რომელიც ფაქტობრივად მოლდავეთს არის გამოყოფილი, გარდა ამისა, ყარაბაღს, რომელიც სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მიზეზი გახლავთ.

# ლისაბონის შეთანხმება ძალაში შევიდა

პირველ დეკემბერს ძალაში შევიდა ლისაბონის შეთანხმება, ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც კავშირის 27-ვე ქვეყანამ მოიწონა.

დოკუმენტი მიზნად ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების პროცედურის გამარტივებას და მსოფლიო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის განმტკიცებას ისახავს.

ეს შეთანხმება ორ ახალ თანამდებობას — ევროკავშირის პრეზიდენტის და ევროპის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის პოსტებს ამტკიცებს.

ღონისძიების ძალაში შესვლის ოფიციალური ცერემონიალი ლისაბონში იყო დაგეგმილი.

ამ დოკუმენტმა ევროპის ქვეყნებში გადაწყვეტილებების მიღების წესები უნდა შეცვალოს.

მისი წყალობით ევროპა უფრო დემოკრატიული და ეფექტური უნდა გახდეს. იმავდროულად, შეთანხმების მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ბრიუსელისათვის საკმაოდ ბევრი უფლებამოსილების დათმობა მოუწევთ.

პირველად მსგავსი ხასიათის დოკუმენტის შესახებ რვა წლის წინ ალაპარაკდნენ. მისი მიღებისაკენ მიმავალ გზაზე უკანასკნელი დაბრკოლება მიმდინარე წლის ნოემბერში მოიხსნა, მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი სასამართლო განხილვის შემდეგ დოკუმენტი ჩეხეთმაც მიიღო.

ცოტა ხნის შემდეგ ევროკავშირის პირველი ოფიციალური პირები აირჩიეს. ევროკავშირის პირველი პრეზიდენტი გახდა ბელგიის პრემიერ-მინისტრი ჰერმან ვან რომპეი, დიპლომატიური უწყების ლიდერი — ბრიტანელი კეტრინ ეშტონი, რომელიც მანამდე ევროკავშირის ვაჭრობის კომისიას ხელმძღვანელობდა.



ამ პოსტზე იგი ხავიერ სოლანას შეცვლის, რომელიც თავის პოსტს ევროპის მთავარი დიპლომატის სავარძელში გატარებული ათი წლის შემდეგ ტოვებს.

საერთაშორისო საკითხებში ევროკავშირის უზენაესი წარმომადგენლის სტატუსით ბარონესა ეშტონს უფრო ვრცელი უფლებამოსილებები და დიპლომატიური სამსახურის უფრო ვრცელი შტატი ექნება.

ლისაბონის შეთანხმების უმნიშვნელოვანესი სიახლეს წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ვეტოს უფლების გაუქმება ისეთ საკითხებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა, ენერგოუსაფრთხოება და სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება.

კვლავინდებურად აბსოლუტური ერთსულოვნება იქნება საჭირო გადასახადების, საერთაშორისო პოლიტიკის, თავდაცვისა და სოციალური უზრუველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

# რუსეთს ირანთან მოლაპარაკების იმედი აქვს



ირანის ხელისუფლების მიერ ურანის გამამდიდრებელი 10 ახალი საწარმოს მშენებლობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დასავლეთის ქვეყნები ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების მიღების შესახებ საუბრობენ.

დასავლეთისაგან განსხვავებული პოზიცია აქვს რუსეთს. მოსკოვი თეირანის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს, მაგრამ დიალოგის გაგრძელების აუცილებლობას აღნიშნავს.

ირანში მყოფმა რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა სერგეი შმატკომ კი ვითარების ესკალაციის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ თეირანთან კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარება მოსკოვის ინტერესებს შეესაბამება.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს მანუჩეჰრ მოთექისთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს მან განაცხადა, რომ მოლაპარაკებებისათვის ჯერ კიდევ კარგი შანსები არსებობს.

იმავდროულად, რეიტერის სააგენტომ განაცხადა, რომ ბუშერის ატომური რეაქტორის გაშვება 2010 წელს აქვს გადაწყვეტილი. ამ რეაქტორს ირანში რუსი სპეციალისტები აშენებენ.

რეიტერის სააგენტომ ორ ანონიმ წყაროზე მითითებით განაცხადა, რომ ბუშერის რეაქტორი ირანული ახალი წლის დღესასწაულისათვის, ნოვრუზისათვის, ანუ მარტის მეორე ნახევარში უნდა ამოქმედდეს.

ირანის განცხადებამ 10 ახალი ატომური ობიექტის მშენებლობის გეგმების შესახებ დასავლეთში მეტად მკვეთრი განცხადებები გამოიწვია.

დიდი ბრიტანეთის პრემიერის, გორდონ ბრაუნის პრესმდივნის თქმით, ლონდონმა ირანის მიმართ ახალი სანქციების განხილვა დეკემბერში შეიძლება დაიწყოს.

ამასთან, დაუნინ სტრიტის წარმომადგენლებმა არც თეირანთან მოლაპარაკებების შესაძლებლობა გამოირიცხეს.

ირანის მისამართით უფრო მკაცრი გაფრთხილებით გერმანია გამოვიდა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ირანი მისთვის გაწვდილ დახმარების ხელს უარყოფს, უფრო მკაცრ სანქციებს უნდა ელოდოს.

მანამდე საფრანგეთმა თეირანის მიერ ურანის გასამდიდრებელი ახალი საწარმოების მშენებლობის გადაწყვეტილებას „ბავშვური“ და „სასაცილო“ უწოდა, ხოლო თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებით ირანის ხელისუფლები თავიანთ ქვეყანას უფრო მეტი საერთაშორისო იზოლაციისაკენ უბიძგებენ.

იმავდროულად, ირანის პარლამენტის სპიკერმა ალი ლარიჯანიმ ორშაბათს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული დაპირისპირების დიპლომატიური გზით გადაწყვეტა ჯერ კიდევ შესაძლებელია — დასავლეთმა უნდა აღიაროს, რომ ირანს გაეროს ატომური ენერგიის სააგენტოსთან თანამშრომლობით ბირთვული პროგრამის განვითარების უფლება აქვს.

გასულ პარასკევს გაეროს ატომურმა სააგენტომ ირანი ქალაქ ყუმის მახლობლად მოქმედი ბირთვული საწარმოს შესახებ ინფორმაციის დამალვის გამო გააკრიტიკა და მისი გაყინვისაკენ მოუწოდა.

პასუხად ირანის პარლამენტმა პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადს ამ სააგენტოსთან თანამშრომლობის შეკვეცისაკენ მოუწოდა.

# დუბაის ხელისუფლებმა საინვესტიციო კომპანიის ვალების გარანტირებაზე უარი თქვეს

დუბაის ხელისუფლების განცხადებით, ისინი საინვესტიციო კომპანია „დუბაი უორლდის“ ვალების გარანტად დადგომას არ აპირებენ.

გასულ ოთხშაბათს ამ კომპანიამ ვალების გადახდის გადავადება ითხოვა, რითაც ინვესტორებს შორის მთელს მსოფლიოში ნამდვილი პანიკა გამოიწვია.

კრედიტორებს მიაჩნდათ, რომ „დუბაი უორლდი“ დუბაის მთავრობას განეკუთვნება, მაგრამ ეს ასე არ არის, ამ შინაარსის განცხადებით დუბაის ფინანსთა დეპარტამენტის გენერალური დირექტორი აბდელ რაჰმან სალეჰი ორშაბათს გამოვიდა.

მისი თქმით, კომპანიებისათვის ფულის გადაცემის გადაწყვეტილების პასუხისმგებლობის ნაწილი თავად კრედიტორებმა უნდა იტვირთონ. მან აგრეთვე განაცხადა, რომ კომპანია „დუბაი უორლდი“ კრედიტებს პროექტებისათვის იღებდა და არა სამთავრობო გარანტიებისათვის.

მიმომხილველების თქმით, ფინანსთა მინისტრის განცხადებამ დიდი გაოცება გამოიწვია, რადგან „დუბაი უორლდი“ სახელმწიფო კომპანიად ითვლებოდა და ინვესტორები ვარაუდობდნენ, რომ ანაზრების გარანტი მთავრობა იყო.

მიმომხილველების თქმით, ბიზნესსა და დუბაის ხელისუფლებს შორის ურთიერთობა „რუხ ზონად“ შეიძლება იქნას მიჩნეული.

ფინანსთა მინისტრის განცხადებას დუბაისა და აბუ დაბის საფონდო ბირჟებზე აქტივობის დაცემა უსწრებდა წინ.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, „დუბაი უორლდის“ ვითარებამ ინვესტორებს აჩვენა, რომ ფულის დაკარგვა სახელწიფო ობლიგაციებზეც არის შესაძლებელი, მაშინაც კი, თუკი მათ ანაზრებზე სახელმწიფო გარანტიის იმედი ჰქონდათ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 2 დეკემბერი**

**07.00** ჩვენი დილა **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ელიზას ძალიშვილი"** **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება – ანსამბლი **"75"** **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტიბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "აპოკალიფსის შვიდი ნიშანი" **19.05** "მეხსიერება" – სპორტი: თასი **1976** **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ანელიას სახე"** **22.00** ჩვენებურები **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით: ა) მხ. ფილმი **"გასაფრენი ტრანსპორტი"** (12) ბ) მხ. ფილმი **"ბუნებით რომანტიკოსი"** (15) (ჯ. კლუნი)

**11.00** პარლამენტი **19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერ. "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"ანელიას სახე"** **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** **23.50** მხ. ფილმი **"წარჩმეული ცხოვრება"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"რევოლვერი"** (18) (დ. ოტეი)

**08.00** მულტფილმი "პატარა მოჩვენებები" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ტყუპები"** **19.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"კლინიკა"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** სიმართლის დრო (გან.) **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ **23.00** სერ. **"კლინიკა"** **00.00** სერ. **"სანდრა პაოლას კლანი"** **01.00** მხ. ფილმი **"მე-16 კვარტალი"** (12) (ბ. უილისი) **02.50** ქრონიკა **03.05** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.00** მხ. ფ. **"მეათე სამეფო"** **10.30, 19.30** სერ. **"სამოთხის კუთხეები"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.40** მხ. ფილმი **"ელექტრა"** **15.25** მხ. ფილმი **"კოდექსი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.30** მხ. ფილმი **"ქალალდის ჯარისკაცი"** **01.20** მხ. ფილმი **"უცხოელი"**

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** დროის ჩანაწერები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** სატ. არქივიდან **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** **13.00** კონცერტი **15.10** მულტსერ. "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ. ფილმი **"ოჰ, ეს საშინელი ტელევიზორი"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"ხარება და გოგია"** 1-ლი ს. **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ. ფილმი **22.00** სიახლენი **22.20** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 2 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — §-12, ღამით — -3-1
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 1§-21, ღამით — §-11
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -13 -1

## ამინდის პროგნოზი 2 დეკემბრისთვის





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# გიორგი მაკარიძე: „დინამო ჩემს ტრანსფერში დიდ თანხას ითხოვდა"



საქართველოს ყველაზე მწირი ლეგიონერთა ჯგუფი ესპანეთსა და საფრანგეთში ჰყოლია. საფრანგეთის პირველი ლიგა აქამდე მხოლოდ გია გურულს ჰქონდა დაჭაშნიკებული. მეორე ქართველი, რომელსაც ეს პატივი ერგო, გიორგი მაკარი ძე. 18 წლის მეკარე გასულ უიკენდზე პირველად ჩადგა ლემანის კარში საჩემპიონატო მატჩში, მანამდე მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში და ერთხელაც საფრანგეთის თასზე ითამაშა.

სადებიუტო მატჩში „სენტ ეტიენთან" ჩვენებურმა 89 წუთი გაატარა მოედანზე, მართალია, კარის მშრალად შენახვა ვერ მოახერხა (1:1 , მაგრამ მის გუნდს არ წაუგია. სადებიუტო მატჩის შემდეგ ქართველ ფეხბურთელს ფრანგული პოპულარული ჟურნალის, „ფრანს ფუტბოლის" ჟურნალისტები ესაუბრნენ.

***— როგორ შეაფასებდით სადებიუტო მატჩს?***

— „ლე მანში" იანვარში ჩამოვედი და ამ დროის მანძილზე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. საწყის ეტაპზე მივხვდი, რომ ყველაფერი ერთბაშად არ იქნებოდა და მყარად უნდა დამვდგარიყავი. აქამდე რამდენიმე ამხანაგურ მატჩში და ერთხელაც თასზე, „ნიმთან" (3:0) ვითამაშე. ფსიქოლოგიურად პირველ დივიზიონში სათამაშოდ მზად ვარ.

***— საფრანგეთის ჩემპიონატზე რას იტყვით?***

— ჩემი შეფასება ცალსახაა — ყოველი ტური სიურპრიზებით არის სავსე. აქაურ ჩემპიონატში მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა იყოს ფეხბურთელი, განსაკუთრებით — მეკარე. საქართველოს ჩემპიონატში 2-3 გუნდი გამოირჩევა სხვების ფონზე.

***— „ლე მანში" როგორ გრძნობთ თავს?***

— ძალიან კარგად. გუნდში მეგობრული ატმოსფეროა და ერთი ოჯახივით ვართ. მეკარეების მწვრთნელ ოლივიე რედემთან ყოველდღიურად ბევრს ვვარჯიშობ, რაც ძალიან მეხმარება როგორც ფიზიკურ კონდიციების ასამაღლებლად, ასევე ფსიქოლოგიურად. ჩემი პროგრესი ოლივიეს დამსახურებაა. „დინამოში" გატარებული რთული პერიოდის შემდეგ, „ლე მანმა" საკუთარი ძალების რწმენა დამიბრუნა.

***— თქვენს ძველ კლუბში გატარებული დროის შესახებ რას გვეტყვით?***

— როდესაც კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი ვთქვი, ერთი წლის განმავლობაში თამაში აღარ მიწევდა. ამასთან, „დინამო" ჩემს ტრანსფერში იმხელა თანხას ითხოვდა, რომ კლუბებს არარეალურად ეჩვენებოდათ. თუმცა, ახლა ყველაფერი ჩავლილია, რაც მოხდა, იმან უფრო მეტი თვითრწმენა შემმატა და უფრო მიზანდასახული გავხდი. „ლემანში" კი საამისოდ ყველა პირობა მაქვს და პროგრესს ვგრძნობ.

***— რა იყო უცხო თქვენთვის ახალ კლუბში?***

— ფიზიკური დატვირთვები. ასეთ რამეს მიჩვეული არ ვიყავი.

***— რომელი მეკარეები მოგწონთ?***

— ბუფონი „იუვენტუსიდან", დონი „რომადან" და პელე, რომელიც გასულ სეზონში „ლე მანში" თამაშობდა. მის თამაშს ხშირად ვაკვირდებოდი და მისგან ბევრი რამ ვისწავლე.

***— კარიერაში ყველაზე მეტად რისი მიღწევა გსურთ?***

— საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის სურვილი მაქვს. ასევე ძალიან მინდა „ლე მანს" დავეხმარო და ამ გუნდთან ერთად ევროტურნირებში ვითამაშო.

# „ერისიონი" რუსეთში არ იცეკვებს

**ეკა ირემაშვილი**



დედაქალაქში გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ 5 და 6 დეკემბერს რუსეთში ანსამბლი „ერისიონი" კონცერტებს გამართავს, საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია.

როგორც ანსამბლ „ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი განმარტავს, რუსეთში ნამდვილად იქნება წარმოდგენილი შოუ „ქართული ლეგენდა", მაგრამ არა ანსამბლ „ერისიონის" მიერ.

რუსული საინფორმაციო სამსახურები კი ავრცელებენ ინფორმაციას, რომ რუსეთში ორი დღის განმავლობაში ქართველი მოცეკვავეები წარმოადგენენ შოუს, რომელიც ანსამბლ „ერისიონის" ცეკვების მიხედვით არის დადგმული.

როგორც ჩანს, „ლეგენდა საქართველოზე" კიდევ დიდხანს იქნება მაყურებლის შეცდომაში შეყვანის საბაბი. როგორც ჯემალ ჭკუასელი ამტკიცებს, ახლანდელი „ქართული ლეგენდა" ქართული ტრადიციების დარღვევით არის დადგმული. იგი ახალი შოუდან იმ საცეკვაო ნომრის ამოღებასაც ითხოვს, სადაც ცეკვა „ხანჯლურს" წელს ზემოთ შიშველი მოცეკვავეები ასრულებენ. თავის მხრივ, ფრანგი პროდიუსერები საკუთარ ექსკლუზიურ უფლებაზე საუბრობენ და „ქართული ლეგენდის" უცხოელი ავტორები ანსამბლ „ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ. უცხოელების ბრალდებას თავისი არგუმენტებით პასუხობს ჯემალ ჭკუასელი. მას დღესაც შენახული აქვს ინტერნეტში შემთხვევით აღმოჩენილი საკონცერტო აფიშა, რომელიც 2008 წლის 23 ნოემბრით არის


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ვაჭართა გაერთიანება ძველად, კაპიტალის რაოდენობის მიხედვით; 2. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. პირველი გერმანული ოპერისა და ბალეტის მუსიკის ავტორი; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. რეგიონი კახეთში; 9. სამეფო საბჭოს სხდომა საქართველოში; 12. ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. მეფეთა ძვირფასი თავსამკაული, ხელისუფლების სიმბოლო; 6. ბიზანტიელ მწერალთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ჭაობის მცენარე; 9. უბანი თბილისში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. ჯიბის ქურდი; 13. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 19. მინერალური წყალი იმერეთში; 20. ობობასნაირთა ოჯახის შხამიანი ცხოველი; 19. ქართული ნაციონალური კერძი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## იუმორი



— ბავშვების გასაგონად არ მინდა ვთქვა... თუმცა, მათაც დააინტერესებდა...

***

ზოოპარკში. ბეჰემოტი ამთქნარებს, უცბად შეამჩნია, რომ მეზობელი გალიიდან დათვი თვალს არ აშორებს.

— რას მომშტერებიხარ?

დათვმა მეოცნებე ტონით:

— ეჰ, შენი პირი მომცა და თაფლი მაჭამა...

***

— საინტერესოა, ჩინური კალენდრით მომავალ წელს რომელი ვირუსი გველის...

***

— წუხელ შინ რატომ არ მოხვედი?

— ღმერთო ჩემო, ხუთი წელი ყოველ დილით ერთი და იგივე... არ მოგბეზრდა?

***

— მამაკაცი თავს ცუდად თუ გრძნობს, ქალს ეძებს, კარგად თუ გრძნობს თავს — ქალი ეძებს...

***

— მე კი უცხოპლანეტელებმა მომიტაცეს, ბუნდოვნად მახსოვს რაღას ღილაკები, ციმციმა ნათურები, ზემოთ მოძრავი კაბინა...

უცხოპლანეტელებმა კი არა, მთვრალი სახლში ლიფტით აგიყვანეთ...

***

— დედა, როგორ მოხდა, რომ ჩემი ძმა წეროშ მოიყვანა, მე კი კომბოსტოში მიპოვეთ?

— წეროს დაუვარდი...

## ასტროპროგნოზი 2 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა.**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თვითგამოხატვის შესაძლებლობა მოგეცემათ. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღე გაქვთ წინ, თამამად იმოქმედეთ. **ლომი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ღრიანკალი** — გზიდან ფულს მიიღებთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — ახალ საქმეს დღეს ნუ წამოიწყებთ, აზრი არ აქვს. **თხის რქა** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **მერწყული** — არ აყვეთ პროვოკაციას, თქვენთვის მშვიდად იყავით. **თევზები** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობას თვალში მოხვდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ტესტი: თქვენ და მოწყენილობა



1. წინასწარ შედგენილი გეგმით ცხოვრობთ?
2. გსურთ მეტი პასუხისმგებლობა?
3. თუ გშურთ იმ ადამიანებისა, ვინც საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ?
4. გინდათ მეტი მოულოდნელობები გქონდეთ?
5. შეგიძლიათ სრულად განჭვრიტოთ თქვენი პარტნიორის ყოფაქცევა?
6. თქვენი ინტერესების უმეტესობა ტელევიზორთანაა დაკავშირებული?
7. როგორც წესი, დილით იცით რასაც გააკეთებთ დღის განმავლობაში?
8. გაწუხებთ მოწყენილობა?
9. ხანდახან ყვირილი გინდათ.

**პასუხები** *დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით.*

**0-3 ქულა:** მოწყენილობისათვის არ გცალიათ, რადგან მეტად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ.

**4-6 ქულა:** მოწყენილობა არ გაწუხებთ, თუმცა ხანდახან გეუფლებათ ხოლმე უგუნებობა, თავს დათრგუნვილად გრძნობთ ხოლმე, შეეცადეთ არ მიაქციოთ ამას ყურადღება, რადგან როგორც წესი, მოწყენილობის პერიოდს აქტიურობის პერიოდი ცვლის ხოლმე.

**7-9 ქულა:** მიუხედავად იმისა, რომ მოწყენილობა დიდ უბედურებად არ ითვლება, იგი თქვენი პრობლემების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. შეეცადეთ გაიმრავალფეროვნოთ ცხოვრება, ჰობის ძიებით დაიწყეთ, მოკიდეთ ხელი იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოგდით და რითიც შეგიძლიათ იამაყოთ. მზად იყავით, ხანდახან რისკზე წახვიდეთ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**